619
1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 6 ივნისი 1966 წ.

მიმდინარე წლის 12 ივნისს შედგა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენმა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (179) ივნისი, 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორანი ალაზანზე.

# ენამთის კალთებზე

ერთი ცნობილი მწერალი ამბობდა: არარაობას გენიოსზე მეტად ენატრება თავისი სახელის უკვდავყოფაო.

სწორედ ასე დაემართა თბილისის გუბერნატორ სვეჩინსაც. მან ბევრი იფიქრა როგორ უკვდავეყო თავისი სახელი ისტორიაში და ბოლოს, ქიზიყში, შირაქის გადასახედთან, ერთ სოფელს დაარქვა თავისი სახელი — სვეჩინოვკა.

ეს იყო ამ საუკუნის დასაწყისში.

იქაურმა გლეხებმა გუბერნატორს „ამაგი" არ დაუფასეს, ზოგი ჩიჩინოვკას ეძახდა ამ სოფელს, ზოგი — ჩიჩილონკას. რევოლუციის შემდეგ კი ხალხმა, მამაცი რევოლუციონერის ხსოვნის პატივსაცემად, სოფელს ჯაფარიძე უწოდა.

დღეს ეს სახელოვანი და უმდიდრესი სოფელია.

კარგა ხანია ამ სოფლის კოლმეურნეობას მეთაურობს საკოლმეურნეო წარმოების შესანიშნავი ორგანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო ყორჩიაშვილი. მას მხარში უდგანან ადამიანები, რომლებიც შირაქისა და იორ-ალაზნის ძველ მიწებზე ამკვიდრებენ ახალ ყოფას, ქმნიან საქვეყნო დოვლათს.

ერთი მათგანია სანდრო ქადაგიძე, მეკამეჩეობის ფერმის მწყემსი.

ენამთაში ვართ, ალაზნის გადასახედთან, ხის ჩრდილში ვსხედვართ და ვუსმენთ პაპა სანდროს, რომელიც თავისი ფერმის საქმეებზე მოგვითხრობს.

სანდრო სამოცდაათ წელს მიტანებული კაცია. როგორც თვითონ ამბობს, პატარაობიდან საქონელს უდგას მწყემსად.

ფერმაში ოთხას ორმოცდაათი კამეჩი ჰყავთ. სანდრომ ზეპირად იცის მათი სახელები. აგერ ის ფურკამეჩი — თამილაა, იმის გვერდით — შირაქა, იმათ იქით მერცხალა, აჭამა და ობოლა სძოვენ.

ნამდვილი მწყემსობა მარტო ის კი არ არის, რომ საქონელს ფხიზლად ედგე გვერდში და ნადირისაგან თუ ფათერაკისაგან დაიცვა. ნამდვილი მწყემსი კამეჩებს დროზევე გამორეკავს ბინიდან, ახლად ამოწვერილ ბალახს შეურჩევს და მიუმარჯვებს, მალ-მალე მოუნაცვლებს საძოვარს, წყალსაც დროზე დაალევინებს და ბინისაკენაც დროზე გაუყენებს გზას.

იმ დღეებში, როცა პაპა სანდრო უდგას ხოლმე საქონელს, კამეჩები გალაღებული ბრუნდებიან ბინაზე და უფრო მეტ რძესაც იწველიან.

— დალოცვილი პირუტყვია, — ამბობს პაპა — ძროხაც კარგია, ცხვარიც, მაგრამ არც მაგას უნდა დავუკარგოთ თავისი სიკეთე. კამეჩის მოვლა უფრო იაფი და ადვილია, ვიდრე ძროხისა; იმ ბალახსა და უხეშ საკვებს, რომელსაც ძროხა პირსაც კი არ დააკარებს ხოლმე, კამეჩი სიამოვნებით შეექცევა. თანაც უფრო გამძლე და ამტანია. მართალია, ძროხასთან შედარებით ნაკლებს იწველის, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხუთი-ექვსი წლით უფრო გვიან ბერდება; გარდა ამისა, კამეჩის რძის ცხიმიანობა, როგორც წესი, თითქმის ორჯერ სჭარბობს ძროხისას. თანაც კამეჩის რძით ნაკვები საფურე ხბორები ძალზე სწრაფად იზრდებიან.

არა, მოხუცი არ ეთქმის პაპა სანდროს. ჭაბუკ ბიჭებთან ერთად შრომობს და ოცნებობს სიახლეებზე, რომელიც ამ ფერმაში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. სიახლისათვის ბრძოლა — ეს, შეიძლება ითქვას, ამ კოლმეურნეობის მუშაობის სტილია, ეს ჰაერია, რომლითაც აქ სუნთქავენ.

ნოვატორი „უცხო სიტყვათა ლექსიკონში" ასეა განმარტებული:

„ლათინური სიტყვაა, ნიშნავს განმაახლებელს. ესაა ადამიანი, რომელსაც თამამად შემოაქვს სიახლე რაიმე სფეროში (მეცნიერებაში, ტექნიკაში, წარმოებაში, ხელოვნებაში)."

აქ ერთი დარგი აკლია: სოფლის მეურნეობა.

ნოვატორი მარტო ის როდია, ვინც პირველი ძრავა გააკეთა, ვინც პირველი აფრინდა ჰაერში, ვინც პირველმა ააწყო საბეჭდი თუ საქსოვი დაზგა. ნოვატორი შეიძლება იყო ყველგან, სადაც შრომაა და შემოქმედება; ნოვატორები არიან ჩვენი მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც მუდამ ეძებენ ახალს, რათა უფრო გაადიდონ შრომის ბარაქა, უფრო მეტი მოსავალი მოიყვანონ ერთ ჰექტარ მიწაზე, ვიდრე წინა წელს მოჰყავდათ.

ამრიგად, ნოვატორი შეიძლება იყოს ყველა — თავმჯდომარეც და ფერმის გამგეც, ბრიგადირიც



პაპა სანდრო.

სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.



— აპარატს ნუ უყურებთ, გოგოებო!


ეროვნული ბიბლიოთეკა

—მარტო ნადირს კი არა, ჩვენც გვეშინია მაგისი.
ცოტა განზე გადექით და ისე გადაიღეთ!

ფოტო თ. არჩვაძისა



— ახლავე დატრიალდით, ბიჭები წამოშალეთ და ხვალ დილისათვის საპატარძლო ქალიშვილებივით მორთეთ და მოკაზმეთ სატვირთო მანქანები. (ცენტრში — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი).

და მწველავიც, მწყემსიც და მეფრინველეც, ელექტრომექანიკური პარსვის ოსტატიც და მეღორეც.

განა ნოვატორი არ არის ამ კოლმეურნეობაში ის კაცი, ვინც პირველმა მოიფიქრა, უჯიშო თეთრი ქათმების მომრავლებაზე ხელი აალებინა სოფელს და მოსკოვის ოლქიდან ჯიშიანი წიწილები ჩამოიყვანა!

გულმა არ მოუთმინა, მშრომელი კაცის გულმა.

მეკამეჩეობას ქიზიყში, სულ ცოტა, ორი ათასი წელია მისდევენ. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში გამოჩენილი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი იხსენებს ალაზანიოსსაც და კამბიზენსაც (ე. ი. კამბეჩოვანს); უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეკამეჩეობას აქ სტრაბონზე ადრეც მისდევდნენ.

განა ნოვატორი არ არის, ვინც პირველად ხბორები კამეჩის რძეზე გადაიყვანა? განა ნოვატორი არ იყო ის, ვინც პირველმა შეამჩნია, რომ დაკუწული ჭარხლის მიცემა ძროხისათვის — საზარალოა. იყო შემთხვევები, რომ ძროხა იხრჩობოდა — მთლიანად ყლაპავდა დიდ-დიდ ნაჭრებს. შეცვალეს ეს წესი: მიუტანენ ძროხას მთლიან ჭარხალს და ისიც თავის გემოზე შეექცევა.

ან განა ქების ღირსი არ არის ის, ვინც შეამჩნია, რომ ძროხას, მაკეობის ბოლო თვეებში წვნიანი საკვები არ უნდა მისცე, ცური უსივდება. მას საუკეთესო ხარისხის თივა უნდა შეურჩიო.

აქ, ამ ფერმებში მუშაობენ ბიოლოგიის კანონების საფუძველზე და შემთხვევითი როდია, რომ მეძროხეობის ფერმა აღიარებულია საჯიშე-სანაშენედ, ეს ფერმა ამარაგებს მეზობელ რაიონებსა და ამავე რაიონის კოლმეურნეობებს საფურე დეკეულებითა და საბუღეებით.

და, ცხადია, აქ უკვე ახალი ამბავი აღარ არის არც ელექტრომექანიკური საწველი აპარატი, არც ნაკელის გასატანი ტრანსპორტიორი, არც საბაგირო გზა, არც ბიოსტიმულატორები ჯანდაგი ხბორების მოსაღონიერებლად და ფეხზე წამოსაყენებლად.

აქ იმაზეც ზრუნავენ, რომ ძროხამ არ „იღელვოს;" არ „ინერვიულოს". მაშინ რძეც გაუშრება, ან ნაკლებს მოიწველის; ამიტომ საათივით აწყობილი რეჟიმი არ უნდა დაირღვეს.

და კიდევ ერთი საძიებელი აქვთ:

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს გიორგი ყოჩიაშვილს გაბედული ოცნება დაებადა — გადაწყვიტა ეწარმოებინა ცდები კამეჩისა და ძროხის ჰიბრიდის მისაღებად. უკვე დაწყებულია მუშაობა ამ ამოცანის გადასაწყვეტად, ჩაატარეს ცდებიც, მაგრამ, ცხადია, არც ისე ადვილია ეს საქმე. ადრე ჩატარებულმა ცდებმა ნაყოფი ვერ გამოიღეს; ახლა ზოოტექნიკოსი ცდილობს ამ ცხოველთა სისხლის ჯგუფების დაახლოებას, რათა შემდეგ შეჯვარება მოახდინოს. ამ ცდებს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები ადევნებენ თვალს, თავიანთი რჩევით და კონსულტაციით ეხმარებიან კოლმეურნეებს. ჯერჯერობით ძნელია თქმა რა შედეგი მოჰყვება ამ ცდებს, მაგრამ როგორც ნიკო ყოჩიაშვილი ამბობს, ერთი რამ ცხადია — აქ მუდამ ახლის ძიებაში არიან და ეს კი ნამდვილად გამარჯვების საწინდარია.

იკითხავთ: ეს ჰიბრიდი რაღა საჭიროაო?

საჭიროა იმიტომ, რომ ამ ჰიბრიდში ძროხის მაღალი წველადობაც შენარჩუნებული იქნება და, იმავე დროს, ერთი კილო კარაქის მისაღებად საჭირო იქნება არა 22, არამედ 11 კილოგრამი რძე.

იმავე დროს, ეს ჰიბრიდი 150-200 კილოთი მეტს აიწონის.

ეს ჯერ ოცნებაა, მაგრამ ყველა კარგი საქმე ხომ ოცნებით იწყება!

ასე მუშაობს აქ ყველა, ნიკოც და მის ირგვლივ შემოკრებილი ადამიანებიც — ზოოტექნიკოსი გიორგი ყოჩიაშვილი, ფერმის გამგე ბიჭიკო ბენაშვილი, ბრიგადირი ი. ქადაგიძე, მწველავი მარიამ ჩიტაური, მეხბორე დიმიტრი ტოკლიკიშვილი, მეღორე დავით სეფიაშვილი, მეცხვარეები, მეფუტკრეები, და კიდევ ვინ მოსთვლის! ერთი-მეორეს ტოლს არავინ უდებს.

აქ ერთნაირი გატაცებით ეკიდებიან ყველა საქმეს — ვაზსაც და მარცვლეულსაც, მეცხოველეობასაც და მეფუტკრეობასაც, მზესუმზირასაც და საკვებ კულტურებსაც.

აქ გაჩაღებულია დიდი შემოქმედებითი შრომა და ძიება, ეს კი უმთავრესი საწინდარია იმისა, რომ კოლმეურნეები წარმატებით გადაწყვეტენ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს.

ო. დემეტრაშვილი

სამხარი. მოწინავე მეფრინველე თამარ წიკლაური.



# ხილი და მეხილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ერთი ასეთი ძველებური გამოთქმა: „შენ ხილი ნახე, მეხილეს რას კითხულობო!“ მაგრამ ახლა ჩვენი მეხილეები ბუნების ისეთ სასწაულებს ახდენენ, ისეთი საუცხოო ახალი ჯიშები გამოჰყავთ, არ შეიძლება ადამიანი არ დააინტერესოს მათმა დაუცხრომელმა საქმიანობამ. ერთი სიტყვით, ზემოთ მოყვანილ ძველ ანდაზას თავისი ყავლი გაუვიდა.

მეხილეობის სკრის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე რომ მოხვდებით, ხილნარში მუდამ დაინახავთ თეთრხალათიან ქალს, რომელიც ყურადღებით აკვირდება ყოველ მცენარეს.

თამარ ცერცვაძე თვალს დახუჭავს და ზეპირად გეტყვით სად რომელი ჯიშის ნერგი დგას, ან სად რომელი ჯიშის ხეხილი ხარობს ამ საცდელი სადგურის ფართობზე. ისეთი რა ახალი ჯიშის ატამი, რა მსხალი ან ვაშლი გაიხარებს აქ, რომ მისი ხელიდან არ იყოს გამოსული!

თამარმა ინსტიტუტის მერხიდანვე ღრმად ჩაინერგა გულში ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის სიტყვები, რომ მეხილეობის საქმეში ჯიში მთავარი და გადამწყვეტი პირობააო.

ჩვენში მეტი წილი ჯიშის ვაშლი შემოდგომაზე მწიფდება. თითო-ოროლა კი ზამთარში შემოდის. და აი, თამარმა იფიქრა — ნუთუ არ შეიძლება ჩვენს ხალხს ზამთარ-ზაფხულ ახლად დაკრეფილი ხილი ჰქონდესო. მარტო ვაშლი კი არა, სხვა ხილიც.

სელექციონერმა ქალმა გადაწყვიტა თავისი ცდები ვაშლიდან დაეწყო და მისი ისეთი ჯიშები მიეღო, რომლებიც ზამთარში დამწიფდებოდნენ. მან აიღო ყველასათვის ცნობილი „კეხურა“. ამ ჯიშის ხე ლაღად იზრდება, უხვ მოსავალს იძლევა, ზოგჯერ 1.000-1.200 კილოგრამ ნაყოფსაც კი, მაგრამ გემო მაინცდამაინც საქებური როდი აქვს. თამარმა „კეხურას“ შეაჯვარა ამერიკული ჯიშის „ზამთრის ბანანი“, რომელიც მეტად გემრიელი, მაგრამ ნაკლებად მსხმოიარეა.. ასე მიიღო სრულიად ახალი ჯიში „ივერია“, რომელსაც „კეხურას“ უხვმოსავლიანობასთან ერთად „ზამთრის ბანანის“ გემო და არომატი მოჰყვა.

შეჯვარებისა და ჰიბრიდიზაციის ასეთივე მეთოდით მიიღო თამარ ცერცვაძემ ვაშლის ცნობილი ახალი ჯიშები, — „საქართველოს პიონერი“, „გორული სინაპი“ და „საგამოფენო“; ამ ჯიშებმა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მაღალი შეფასება და ჯილდოები დაიმსახურეს. არა ნაკლებ გახმაურდნენ თამარის მიერ გამოყვანილი მსხლის ახალი ჯიშები: „აისი“ და „სკრის მდნარი“. ეს ჯიშები მეტად გემრიელ ნაყოფს იძლევიან და არც ავადდებიან. თამარის მიერ მიღებულმა ატმის ახალმა ჯიშმა „სკრის ადრეულმა“ კი დიდი ხანია ფართო გავრცელება ჰპოვა მთელ საქართველოში.

ყველაფერი ეს ახლა ადვილი სათქმელია. სინამდვილეში კი ამას დასჭირდა ოცდათორმეტი წლის დაძაბული, დაკვირვებული მუშაობა, ასობით და ათასობით ექსპერიმენტის ჩატარება, წარმოუდგენელი მოთმინება და მტკიცე, გაუტეხავი რწმენა იმისა, რომ ადამიანმა უნდა იბატონოს ბუნებაზე, განაგებდეს მას თავისი სურვილისა და საჭიროებისამებრ.

საიდან აღარ მოდის გორის ახლოს, სკრაში დაკვეთები თამარ ცერცვაძის მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშების ვაშლის, მსხლისა თუ ატმის ნერგებზე; ამ ჯიშების ნერგებს თხოულობენ საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რაიონის მეხილეები, და ყველგან კმაყოფილებით იხსენიებენ ქართველი სელექციონერი ქალის მადლიან მარჯვენას.

ახლა, როგორც გავიგეთ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ ცერცვაძე ნუშის ახალი ჯიშის გამოყვანაზე მუშაობს. ნუში სამკურნალო თვისებებითაც და ყუათიანობითაც ბევრ კულტურას ჩამოიტოვებს უკან, მაგრამ ამ სამხრეთის მცენარეს მეტისმეტად უყვარს სითბო, სწორედ ეს არის, რომ ცოტა არ იყოს ხელს უშლის მის გავრცელებას საქართველოში. ნუშის ადგილობრივ ჯიშებს სქელი ნაჭუჭი და პატარა გული აქვთ. ზოგიერთ შემოტანილ ჯიშს კი, მართალია თხელი ნაჭუჭი და მსხვილი. გემრიელი გული აქვს, მაგრამ აქაური გაზაფხულის სუსხს ვერ იტანს. მათი შეჯვარებით თამარმა ოცდაათზე მეტი პერსპექტიული ჰიბრიდი მიიღო, რომელთაგან თავისი ხარისხითა და მოსავლიანობით ათზე მეტი გამოირჩევა; ამ ჰიბრიდების ნაყოფებმა რესპუბლიკურ შემოწმებაზე მაღალი შეფასება მიიღეს.

ამჟამად, ნუშის გარდა, თამარ ცერცვაძის სასელექციო ნაკვეთზე ვაშლის 100, მსხლის 40, ატმის 23, გარგარის 10, ქლიავის 20 პერსპექტიული ჰიბრიდი ხარობს. მოკლე ხანში მათი უმრავლესობა გზას გაიკვლევს წარმოებისაკენ. აშრიალდებიან ხუჭუჭა ბაღებად და თავიანთი სურნელოვანი, გემრიელი ნაყოფით დაამშვენებენ ჩვენს სუფრას.

დ. შარაშენიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.



## სილოვან ნარიმანიძე



### ახლა ალაზანს

ახლა ალაზანს, ალბათ, მოაქვს დიდი მორები,
მაღრანის ბოლოს თუშის ბიჭი აძოვებს თიკნებს,
ჭალაში სარის მოსაჭრელად ჩემი ტოლები
წავიდნენ, ალბათ, და კაფავენ ასწლოვან იფნებს,
მაჭარეული აადიდა ნაყურის ღვარმა,
უკვე დაჰქროლა გაზაფხულის მხურვალე ქარმა.

ტრაქტორმა უკვე გაატარა ყამირზე კვალი
და ეზოების შემოღობვაც დაიწყეს უკვე,
სოფლის პატარძლებს ვენახებში მიაქვთ სამხარი,
ჩვენს პატარებს კი რიგანებით სავსე აქვთ უბე...
ძალუაჩემი, ახლა ვიცი დაკრეფავს ჭინჭარს,
— ყველა ველ-მინდვრად! —
გაზაფხული იძლევა ნიშანს...

გათბა მიწა და შეიცვალეს ტყეებმა ფერი,
ტყის ყვავილები ადიდებენ თითქოს ცხოვრებას,
ო, რა კარგია, გაზაფხულო, ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი გზას გაუხსნის ჩემს დიდ ოცნებას,
მშობლიურ ტყეებს ვესტუმრები გულგაღეღილი,
ახოებს ვნახავ, სად ბიბინებს ლორთქო ჯეჯილი.

მაგრამ ყველაზე უფრო მინდა იმ მუხის ნახვა,
სადაც აიდგა ბავშვობამ ფეხი,
ხომ არ მოტეხა წლებმა, ხომ არ დაეტყო დაღლა,
ხომ არ დაკარგა ლაზათი და თავისი ეშხი,
ხომ ისევ გააქვს გაზაფხულზე ლაღი შრიალი,
ხომ ისევ ისე საოცარი, დიდი ხე არი...
ახლა ალაზანს, ალბათ მოაქვს დიდი მორები
და გაზაფხულის მზით თვრებიან ჩემი ტოლები...



### მართლაც ძნელია

თუ შეგიძლია,
შენ შეგიძლია,
არაფერი თქვა
და იგრძნო მხოლოდ,
ო, სიყვარული შენ შეგიძლია,
რომ განიცადო, როგორც სიმბოლო,
სიმბოლო, შენი ცელქი დღეების,
ვით ადიდება მდინარეების...

თუ შეგიძლია,
შენ შეგიძლია
ნამიან მიწას რა სათქმელი აქვს,
გაიგო,
მიხვდე,
მაგრამ გადასცე?..
სხვას რომ გადასცე,
ერთობ ძნელია!..



### არაგვზე

შორს თეთრი მთები, მაღალი,
წინ თოვლიანი ჩარგალი,
შეჭრილი მთების უბეში
ის მომხიბლავი ცარგვალი.
რატომ მოკლდება, ვინ მეტყვის
არაგვზე ყველა მანძილი?
დიად დუმილში გვიმზერდა,
მინდორი — თეთრი მანდილი;
მთვარე!
რა იყო ის მთვარე,
გულსავსე მკერდდაფერილი,
თოვლით ნახატი ტყეები —
როგორც ნესტანის წერილი.
რად გვდიე, მითხარ, მთვარეო,
ჩარგლიდან მცხეთის კარამდი!..
გეგონა, თან წაგვიყვანდი,
გეგონა, მოგვიპარავდი?!
მთებში ელავდნენ სანთლები,
იმედად გრძელი ღამისა,
ანანურს ფრთხილად ეძინა
ვადას წინაპართ ხმალისას,
მოხმაურობდა, ბორგავდა
მუდამ მღელვარე არაგვი. —
ყველაზე დიდი სიმღერა,
ყველაზე დიდი არაკი!
შენც ჩემთან იყავ, ძვირფასო,
თვალება რა იყო, ან ძილი!
რატომ მოკლდება, ვინ მეტყვის
არაგვზე ყველა მანძილი?!



### რა უნდა ქარს?

ალარც ხმაურია ცის,
ირგვლივ დაცლილია გზაც,
ქარები უსტვენენ მთის,
ფიქრით მოწყენილია მთაც.
აღმართში ავდივარ ძლივს,
რას მიტევს,
რა უნდა ქარს?

არავინ, მდინარეც დის
და ჩემთვის არ იღებს ხმას...
აღარც ხმაურია ცის,
ირგვლივ მდუმარეა გზაც,
მივდივარ აღმართში ძლივს,
რას მიტევს,
რა უნდა ქარს?..



# ერთგული

მას აქეთ, რაც ახლად დაბადებულმა „რკინის ხარმა" — პირველმა ტრაქტორმა პირველი ჰექტარი მიწა მოხნა, გლეხკაცისათვის ნატვრად იქცა, ნეტავ ისეთი მანქანაც გამოიგონონ ვენახში, ბაღში, ბოსტანსა და პლანტაციაში ასევე ერთგულად ამომიდგეს გვერდშიო. ეს ფიქრი მარტო მათ კი არა, კონსტრუქტორებსაც აწუხებდათ.

და აი, ამ ათიოდე წლის წინათ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორმა თ. ნაზარიშვილმა შეკრიბა მეგობრები — შ. ჯაიანი, გ. ამულაძე, შ. ლომიძე, მათს გარდა, კიდევ რამდენიმე კაცი და თავისი გულისნადები გაანდო, რა იქნება, ჩვენ რომ ვცადოთ ბედიო.

ფიქრსა, ძებნასა და ანგარიშში ღამეებს თეთრად ათენებდა თ. ნაზარიშვილის ჯგუფი, საქმე ნელ-ნელა მიდიოდა წინ, თანდათან ისახებოდა მომავალი მანქანის კონტურები. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ის სანატრელი მანქანა საცაა ხორცს შეისხამდა, აგუგუნდებოდა, აქოჩრილი ვაზების, ჩაის ბუჩქებისა და ხეხილების რიგებს მზრუნველი პატრონივით ჩამოუვლიდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გადაწყვიტეს ამ მანქანების დასამზადებლად ცალკე ქარხანა აეშენებინათ, მანქანისთვის კი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი" დაერქმიათ. ეს 1959 წელს მოხდა. იმავე წელს გამოვიდა „რიონის" პირველი ნიმუში და ამ მართლაც რომ ერთმა ციდა ტრაქტორმა იმ დღიდან გამრჯე და ერთგული თხუნელასავით დაიწყო ბუდრაობა ბაღებსა და ვენახებში, ბოსტნებსა და პლანტაციებში.

რას არ აკეთებს პატარა „რიონი" — თიბავს, ხნავს მსუბუქად, თხრის ორმოებს, ეწევა ტვირთს, ტუმბავს წყალს, აწარმოებს ნიადაგის კულტივაციას, ხვეტავს თოვლს და კიდევ ვინ იცის რას.

შვებით ამოისუნთქეს კოლმეურნეებმა, იმას, რასაც ისინი ყოველ ცისმარე დღეს მზის ჩასვლამდე ხელით აკეთებდნენ, ახლა ეს ერთი გოჯა მანქანა დაუზარელად, ერთ-ორ საათში ართმევს თავს.

— ამ სამიოდე წლის წინათ დავიწყეთ შედარებით უფრო გაუმჯობესებული „რიონი—2"-ს გამოშვება,—გვიამბო ქარხნის დირექტორმა სერგო აბზიანიძემ, — ამ ტრაქტორზე მეტად დიდი მოთხოვნილებაა. მაგრამ მომხმარებლებს მისი სიმძლავრე და სიჩქარე მაინც ვერ აკმაყოფილებდათ. პარტიის მეოცდახამე ყრილობის დღეებში გადავწყვიტეთ გამოგვესწორებინა ეს ხარვეზი. დავამზადეთ „რიონი—5", რომელიც შედარებით უფრო ძლიერია და უფრო სწრაფადაც დადის.

— ისე კი, მართლაც ძალიან მოსწონთ ჩვენი ტრაქტორები, — ჩაურთო სიტყვა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა იაკობ ჯინჯიხაძემ,—ამას წინათ დნეპროპეტროვსკიდან მოგვწერეს, თქვენი „რიონი" ოცდახუთი ცალი გვაქვს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გვინდა და როგორ შევიძინოთო. ან რატომაც არ მოინდომებენ? გარდა იმისა, რომ ჩვენი „რიონი" ამდენი რამის გამკეთებელია, ტექნიკურადაც მეტად მოხერხებულია, სამართავად მეტად იოლი; აბა, წარმოიდგინეთ, სიგრძით მეტრ-ნახევარიც არ არის, სიგანით ნახევარ მეტრზე ცოტა მეტია, სიმაღლით ერთ მეტრსაც ვერ აღწევს. მართვა კი სულ ორი ბერკეტით წარმოებს: ერთით გადაცემებს გადართავ, მეორეთი კი წინ და უკან ატარებ.

იაკობმა გაიღიმა, და, თითქოს თავიანთი ტრაქტორის საქებრად კიდევ ერთი უტყუარი საბუთი გამოძებნაო, ცოტა არ იყოს თავმომწონედ დასძინა.

— ჩვენი ახალი ნიმუშის „რიონი" ახლა შვიდი ცალია კრემლში, ეზოს დახვეტა-გალამაზებაზე მუშაობენ.

თავის არსებობის სულ რაღაც ექვსიოდე წელს თუ ითვლის ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა. ჰოდა, ადვილი მისახვედრია, ასეთ ახალგაზრდა საწარმოს რა ახალგაზრდული კოლექტივიც ეყოლება. თავგამოდებით შრომობენ ქალიშვილები და ჭაბუკები. ისინი აქ სკოლებიდან, ტექნიკუმებიდან, ინსტიტუტებიდან მოვიდნენ. ბევრი მათგანი სწავლას დაუსწრებლად განაგრძობს, რადგან კარგად იცის, რომ ტექნიკური განათლების მიუღებლად

## ტრაქტორი „რიონი“



# დიდი საქმეები

ეროვნული ბიბლიოთეკა





დიდ ვერაფერს გააკეთებს. გასაკეთებელი კი კიდევ ვინ იცის რამდენია. განსაკუთრებით პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შემდეგ. ავიღოთ თუნდაც ისეთი მანქანა, რომელიც მთიან რაიონებში იმუშავებს. ეს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემაა. და აი, ქუთაისელმა ტრაქტორმშენებლებმა გადაწყვიტეს 1968 წლისათვის, მინსკის სატრაქტორო ქარხანასთან ერთად, გამოუშვან ასეთი სამთო მიწათმოქმედების ტრაქტორი. ორივე ქარხნის კონსტრუქტორთა ერთობლივი ჯგუფი უკვე მუშაობს ამ ტრაქტორის კონსტრუქციის შექმნაზე.

მანამდე კი ქუთაისელი მეტრაქტორეები იბრძვიან თავიანთი „რიონის“ კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებისათვის. სურათზე (ფოტო № 1) თქვენ ხედავთ ქარხნის ახალგაზრდა კონსტრუქტორებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ „რიონ—5“-ის ნახაზების დამზადებაში. ამ ნახაზების მიხედვით წარმართავენ თავიანთ მუშაობას ქარხნის საამქროები. ერთ-ერთ მათგანში უკვე მიიღეს საჭირო დეტალის ნახაზი, რომელსაც გულმოდგინედ ეცნობიან ახალგაზრდა მუშები ს. ბატრაკი, ო. გოგიაშვილი და ზ. წვერავა (ფოტო № 2). ამ დეტალების დამზადების შემდეგ იწყება „რიონის“ აწყობა. ამწყობი ზეინკალი ნ. ერაძე (ფოტო № 3) უკვე გვარიანად არის გაწაფული. იგი ქირურგის სიზუსტით უდგამს მანქანას მის გულს — ძრავას. და აი „რიონი“ მზად არის (ფოტო № 4), მალე იგი გულდაგულ გაჰყვება ვაზების, ხეხილების, ჩაის ბუჩქების რიგებს, მხიარულად ჩაიგუგუნებს ბალჩა-ბაღებში და შვებასა და სიხარულს მოჰგვრის კოლმეურნეთა გულებს.

ფოტო თ. არჩვაძისა







კონსტანტინე ლორთქიფანიძე

1.

გადაბელილ თუთასთან შავებიანმა გამხდარმა ქალმა უნაგირწამოდგმულ ცხენს მოსართავები მოუჭირა, ალვირ-ავშარა წამოასხა, კუდის ძირში საძუე ამოსდო.

ეს ყველაფერი ისე ლაზათიანად გააკეთა, რომ კაცს ცოტა გაუკვირდებოდა, ამ დალეულ დედაკაცს ამდენი ჯანი ვინ მისცაო. მაგრამ ეტყობა, ცხენ-უნაგირის ყადრი კარგად იცის. ნაცადი ხელი კი ულონობას ეგრე ადვილად არ შეიმჩნევს.

ამ შავებიან ქალს ანუკას ეძახიან.

ის პირთხელი ბიჭი კი, ახლა კიბეზე რომ ჩამოდის და ხელში ჭრელი ხურჯინი უჭირავს, ანუკას ერთადერთი ვაჟია — „გლეხის იმედის“ თავჩობანი ზურია კობაიძე.

ერთი შეხედვით ზურია შეიძლება ვერც კი გამოარჩიოთ იმ ქართველ მეცხვარე ბიჭებში, შირვანისა თუ თრიალეთის გზა-ბილიკებზე რომ შეგვხვედრია, ან ოლე-ივრისა თუ შავი მიწების საძოვრებზე გვინახავს.

ყველა ისინი გარუჯულნი არიან ერთი მზითა, დაბეგვილნი ერთი ქარ-წვიმითა, ერთი ცეცხლის კვამლს ამოუწვავს მათი თვალები...

ამიტომ გეჩვენება, თითქოს ყველა ისინი ერთი თარგისანი არიან, ერთი ბუდისანი.

მხოლოდ ეს ჩემი ზურია ცოტა უფრო ჩუმი კაცია, ცოტა უფრო ნაკითხია, და შეიძლება, სწორებთან შედარებით, უფრო მოვლილი და ლამაზად ჩაცმულ-დახურული იყოს. ზურია ხომ დედისერთა ბიჭია და სიყვარულში არავინ შეცილებია.

ზურია კობაიძე ცოტა მეოცნებეც არის. მაშ უამისოდ რა დალევს ამ დაულეველ გზას.

მეოცნებე კაცი კი ერთი ნახტომით მუდამ წინ არის...

კიბის ძირში ბამბურა ლეკვი წკმუტუნებს. ზურიამ ლეკვს ხელი წამოუსვა და ხურჯინში ჩააგდო.

ა ნ უ კ ა. (ნაღვლიანი ღიმილით) მოსვლა ვერ მოასწარი შვილო და უკვე მიდიხარ! მთელი ზაფხული ისევ მარტო ვიქნები...

ზ უ რ ი ა. შენ მარტოობას მიჩვეული ხარ, დედუნი. შენი ქმარი ორმოცი წელიწადი ცხვარში დადიოდა!

ა ნ უ კ ა. მე მეგონა, შვილი მაინც შემიბრალებდა!

ზ უ რ ი ა. რა ვქნა დედი...

ა ნ უ კ ა. რძალი მინდა, ბიჭო, სხვას არას გეხვეწები!

ზ უ რ ი ა. ეხ, დედაჩემო, მე ახლა ცოლად ვინ გამომყვება, წელიწადში თერთმეტი თვე შინ არა მძინავს!

ა ნ უ კ ა. ვინც გინდა, ის გამოგყვება. ოღონდ შენ ერთი თითი დაუქნიე!

ზ უ რ ი ა. (ცხენზე შეჯდა) ვინც მინდა?

ბიჭმა გულში რაღაცას გაუცინა, მერე უცბად დაიხარა, დედას აკოცა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

2.

ფერდობზე გაბარდულ ნარ-ეკალში ორი კაცი — არჩილ ყანჩაშვილი და თენგიზ მეტრეველი გაჭირვებით მიიკვლევენ გზას. არჩილი ხანდახან შეჩერდება, ეკლიან ტოტს განზე გასწევს, რომ უკან მომავალ მეტრეველს გზა გაუწმინდოს.

წიფლის წყაროს რაიონის მთავარი აგრონომი არჩილ ყანჩაშვილი ოცდაათ წელს გადაცილებული კაცია. მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი... არჩილის სიცილში, სიტყვა-პასუხში, სიარულში, — ყველაფერში — ღონემოჭარბებული კაცი ჩანს, რითაც მეტი ეშხი ეძლევა მის ჯავარსა და ელფერს. და მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ გამოიჭერს, რომ არჩილ ყანჩაშვილის ღიმილს, ალერსიან სიტყვას გულიდან წამოსული სიწრფელე აკლია.

აცვია ნახევრად სამხედრო ყაიდაზე. კიტელი, ჩექმებში ჩატანებული შარვალი, მხოლოდ ეს ყველაფერი შეკერილია ისეთი ძვირფასი მასალისაგან, და როგორც ეტყობა, პირველი ხელის მკერავის მიერ, რომ გინდა თუ არ გინდა, თვალი ზედ მიგივარდება.

მკერდზე მუდამ უკეთია უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ნიშანი.

თენგიზ მეტრეველი წიფლის წყაროს რაიკომის პირველი მდივანია. ამას წინათ მოხდა ერთი ამბავი, რამაც მეტრეველს თუმცა ნირი ვერ შეუშალა, საგონებელში კი ჩააგდო.

ერთხელ იგი რაიონის მუშაკების სიას ათვალიერებდა. უცბად თვალში მოხვდა, რომ სასაკლაოს დირექტორად ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობდა. მეტრეველი ჯერ გაოცდა, მერე გაუხარდა, სწორედ ამას ვეძებდიო...

დაუძახა და უთხრა: — მეცნიერი კაცი რომელმა სულელმა გაიმეტა სასაკლაოს დირექტორად! მე აქ პარტკაბინეტის გამგედ საშუალო განათლების კაცი მიზის... თუ ძმა ხარ, დაჯექი და ახლავე ანკეტა შეავსე, ხვალიდან სამუშაოდ ჩემთან გადმოდიო.

მეცნიერებათა კანდიდატს ხმა არ გაუღია, ანკეტა შეავსო და წავიდა.

მეორე დღეს კი მეტრეველს თბილისიდან დაურეკეს. ტელეფონის მილში ძალიან ნაცნობი ხმა მოისმა. იმ კაცის სიტყვას დაჯერება ჭმართებდა.

მან სთქვა: — პარტკაბინეტის გამგეს თუ ეძებდი, თენგიზ, რატომ აქამდე არ მითხარი! ორი დღე მაცალე და ისეთ ბიჭს გამოგიგზავნი, ფიქრი არაფრისა გექნება! მაგას კი თავი დაანებე, ი ყ ო ს, ს ა დ ა ც არის... გაიგე?

მეტრეველმა ა რ გ ა ი გ ო... კანდიდატი გაჯიუტდა, იმ ნათლიმამას ერთხელ კიდევ დაარეკინა თბილისიდან. მაშინ მეტრეველმა არც აცივა, არც აცხელა, სასაკლაოს დირექტორი სამსახურიდან დაითხოვა.

რაიკომის მდივანს საქციელი არ მოუწონეს, პირში არაფერი არ უთხრეს, მხოლოდ დაიმახსოვრეს, რომ ერთხელ მეტრეველმა ზემოდან წამოსულ სიტყვას კალთა არ შეუშვირა.

3.

არჩილი და თენგიზი გორაკის თხემზე შესდგნენ. ლეკიმთიდან მოდენილ ნიავს ველზე ჩაფენილი ნისლი ისე აუწეწ-დაუწეწავს, ახლა კაცი ვერ გაიგებს, აგერ იმ ფერდობზე ნაბადმოხურული კაცი სდგას, თუ ავდრისაგან ჩაშავებული კარავი. ან იქ, ხევის პირას, ცხვარი სძოვს, თუ ჯანღის ქულები მოსდებია იქაურობას.

დრო და დრო ნისლი ერთბაშად შეიკვრება, თვალი ველარაფერს ხედავს. კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებიც კი თხელ დოლბანდში გაეხვევიან.

ამჟამად სწორედ ეს აწუხებს არჩილ ყანჩაშვილს. მაშ რად წამოიყვანა რაიკომის მდივანი ამ სიშორეს, თუ გაკაფულ და ამოძირკვულ ნაკვეთებს ვერ აჩვენებს! ამ დალუპულმა ნისლმა ლამის ჩაუშალოს გულის წადილი. ვინ იცის, თენგიზ მეტრეველი კიდევ როდისღა მოიცლის აქ წამოსასვლელად...

მაგრამ არჩილ ყანჩაშვილს ბედი სწყალობს. არამცთუ ადამიანები, ეს ჭირვეული ბუნებაც კი ხშირად მისი ვამგონეა. აბა ნახეთ, თუ ასე არ არის! ამას წინათ მთავარმა აგრონომმა წვიმა ინატრა — საღამოს მართლაც დაუშვა და მზესუმზირამ სული მოითქვა.

სამკალად შემოსულ პურს მზიანი დღეები სჭირდება? მზიანი დღეები ისე წაეწყობა ერთმანეთს, ცაზე ღრუბლის ნაფლეთსაც ვერ დაინახავ. აი ახლაც, ხედავ! ნისლი ნელა-ნელა გაიკრიფა და ნარეკვავის მინდვრებს მზემ თვალი დაჰკრა...

ასეა თუ ისე, დღემდე არჩილს ნაცილი არ შეხვედრია და სჯერა, რომ იგი ბედნიერ ვარსკვლავზე არ... 

თვალი ვერ გადასწვდება ნარეკვავის ჯაგნარს. მხოლოდ ალაგ-

ალაგ ბოლავენ გაკაფული მინდვრები, ძირფესვიანად ამოგდებულ კუნძებს ალი ეთამაშება.

არჩილი. ერთი მინდორი კიდევ არის იმ ხევთან. აი შეხედეთ! (დურბინდი მიაწოდა).

მეტრეველი. ვხედავ, ამხანაგო, არჩილ (დურბინდი არ გამოართვა).

არჩილი. დღე და ღამე თავს ვაკლავთ ამ დასაწვავს...

მეტრეველი. კარგად გიმუშავნიათ. თუ ასე წავიდა საქმე, ორ-სამ წელიწადში ჩვენი რაიონი წელში გაიმართება!

არჩილი. რას ამბობ, ამხანაგო თენგიზ! სამი წელიწადი ძალიან მეშორება.

მეტრეველი. ბარემ ეგრეა, ჩემო არჩილ, მაგრამ რას იზამ! აღმართზე სირბილი ძნელია. ყველაფერი დათვლილია, დაანგარიშებული!

არჩილი. ვიცი, ამხანაგო თენგიზ, ყველა მანქანას თავისი საზღვარი აქვს, მაგრამ კაცი ხომ მანქანა არ არის! კაცი ყველაფერს მოერევა, რასაც მოინდომებს!

მეტრეველი. შენ კიდევ შენსას გაიძახი!

არჩილი. მთელი ნარეკვავი უნდა გაიკაფოს და მოიხნას...

მეტრეველი. შევძლებთ? ვაი თუ ხელი ვერ მივუწვდეთ და თავი მოგვეჭრას!

არჩილი. (გატაცებით) წინ ვერაფერი დამიდგება, ამხანაგო თენგიზ! ამ გაზაფხულზე ერთი ათასი ჰექტარი ყამირი უნდა გადავაბრუნო, ეს არის ჩემი ოცნება!

მეტრეველი. მარტო შენი?

არჩილი. ენდეთ ჩემს სიტყვას!

მეტრეველი. (ეწყინა, კითხვაზე პასუხი რომ ვერ მიიღო. დასტური მაინც მისცა). კარგი, არჩილ, მხოლოდ გახსოვდეს, სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობია...

სადღაც ახლო ცხვარ-ბატკნის ბღავილი და ზარების წკარუნი მოისმა. ხევში ჩაგუბებულ ნისლიდან დინჯად ამოვიდა რქებგადავრეხილი ვაცი. ხევის პირას შესდგა, მერე ასევე დინჯად უკან მომავალ ფარას მოუხედა და გზა განაგრძო. ხევიდან ნელ-ნელა ამოდის ცხვარი, მდორედ ეფინება მინდორს. ფარაში შიგადაშიგ საპალნიანი ცხენ-სახედარი მოსჩანს.

უზომოდ დაღლილი მწყემსები (გუშინ ერთ მუხლად გამოიარეს მთელი დღის სავალი) ტაატით ამოდიან აღმართზე.

— წავიდა ჩვენი ცხვარი თრიალეთისაკენ! — სთქვა მეტრეველმა.

არჩილმა ფერდობზე ჩაირბინა, დედაცხვარს ხელი დაავლო და მეტრეველს ასძახა.

— დუმიანი ცხვარი კი მინახავს, მაგრამ ეს ცხვარი კი არა, პირდაპირ სასწაულია! მატყლიც როგორი აქვს! აბრეშუმი გეგონება.

— შენ კობაიძეს არ იცნობ? ეგ იმისი ცხვარია. ახალი ჯიში გამოჰყავს... თუ წელს პურმა არ გვიღალატა, სხვა მხრივ არა გვიჭირს რა!

— პური ჩემზე იყოს, ამხანაგო თენგიზ! — სთქვა არჩილმა და ცხვარს ხელი გაუშვა.

ზურია კობაიძის ფარა მართლაც გამოირჩევა ამ უთვალავ ცხვარში. აგერ თავით ფეხამდე გრძელ ბეწვში გახვეულ ჭედილას თითქმის მიწაზე ეთრევა ვეება დუმა.

არჩილ ყანჩაშვილმა კედელზე შირაქის რუკა ჩამოჰკიდა, წითელი ფანქრით ერთი ადგილი შემოხაზა. მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და მაგიდაზე წინ დაუდო ჩაქაფულ, ქონმორეულ კაცს, — „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს, თურმან ბაკურაძეს.

არჩილი. არა, თურმან, მე შენი ცუდი არ მინდა! ამიტომ ამ ქაღალდს მეტრეველს არ წავუღებ. ეს რა დაგიწერია, შე კაი კაცო!

თურმანი. რაც არის, ის დავწერე...

არჩილი. დაწერე და ყველას ყელი გამოგვჭერი! სად არის შენი დაპირებული ათასი ჰექტარი მიწა?! პურს, ძმაო, ხალათის კალთაში ხომ ვერ ჩავითესავ!

თურმანი. ნარეკვავის იმედი მქონდა, არჩილ, მაგრამ ვერ მოვასწარი! ერთხელ შენც კი დამპირდი, დიზელებს მოგაშველებო!

არჩილი. დაგპირდი და კიდეც შევასრულებ, მხოლოდ ეს ამ წელიწადში არ მოესწრება. მიწა კი ახლავე მინდა!

თურმანი. რაც არა მაქვს, არა მაქვს, ჩემო არჩილ! ტყუილად ნუ დამემდურები!

არჩილი. მაშ ეს რა არის?! (წითლად შემოხაზულ ადგილს თითი აძგერა) მიწა არ არის?!

თურმანი. ეს ჩვენი გარდამავალი საძოვრებია. მაგის მოხვნა არ შეიძლება.

ახალგაზრდა ქალმა ფანჯარაზე ხენდროთი სავსე საცერი შემოდგა. არჩილმა არ მოიცადა, სანამ მასპინძელი დაპატიჟებდა, — საცერთან მივიდა. დიდრონი ხენდროები ამოარჩია და პირში გადაუძახა.

ფანჯარაში თავი შემოჰყო ჯეელმა ბიჭმა, არსენა ჩოხელმა. „ნახვამდის, თავმჯდომარევ!“ დაიძახა, პეშვი ხენდროთი გაივსო და მიიმალა. ოთახში შემოიჭრა ტაშ-ფანდურის ხმა, ცხენების თქარათქური, სტვენა... მთელი სოფელი მიაცილებს საზაფხულო საძოვრებზე მიმავალ მეცხვარეებს.

არჩილი. — ყური დამიგდე, კაცო! (ფანჯარა მიხურა) ჩვენ ახლა რაიონს უნდა ვუშველოთ, ეგ მინდვრები უნდა მომცე!

თურმანი. მერე ცხვარი?!

არჩილი. ცხვარი? (მაგიდას დახედა, ქაღალდს ეძებს, რომ ხენდროთი გაწებილი თითები გაიწმინდოს. აქ ვერაფერი იპოვნა, მაშინ დაუკითხავად მაგიდის უჯრა გამოსწია, რაღაც ქაღალდს ხელი წამოუსვა და თითები შეიხოცა. თურმანი შეიჭმუხნა, კადნიერ სტუმარს კი არაფერი უთხრა) ყველაფერზე მარტო შენ რომ იფიქრო, ჩემო თურმან, თავი გაგისკდება! ცოტა ჩვენც გვაცალე! ეს ამბავი მეტრეველმაც იცის. გზაზე საკვებს დაგახვედრებ! თივა და სილოსი რამდენიც გინდა, იმდენი მაქვს! მეტი რა ვქნა, შე კაი კაცო!

თურმანი. მეტი არაფერი... მაგრამ ვთქვათ...

არჩილი. არავითარი ვთქვათ! თუ ამ საქმემ გაგვიმართლა... (თვალებში მიაჩერდა) გამარჯვებულს პასუხს არავინა სთხოვს, იცი ეს შენ?! პირიქით, მადლობას ეუბნებიან, ჯილდოს აძლევენ... მიხვდი?

თურმანი. მივხვდი.

ეტყობა, ამ მიხვედრამ მაინცა და მაინც დიდი სიხარული არ მოჰგვარა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს, მაგრამ რა ჰქნას! კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება, არჩილ ყანჩაშვილს წინ ვინ დაუდგება!

ნებაზე მიშვებული ცხენი ტაატით მიჰყვება მტვრიან ქუჩას. უნაგირზე ჩაკეცილი ზურია თითქოს სთვლემს. მხოლოდ დრო და დრო, როდესაც გათამამებული ცხენი ღობის ძირში ამოყრილ ბალახს მიეტანება, ფერდზე ქუსლს შემოჰკრავს, ნაბიჯს გაუსწორებს.

ერთბაშად ზურიას ყურადღება სოფლის ფოტოგრაფის დარაბამ მიიპყრო. თვალი მოსტაცა ერთი ლამაზი ქალის სურათმა. ქალს ხევსურული ქათიბი აცვია, ხელში ფანდური უჭირავს.

ზურია ცხენიდან ჩამოხტა, მიიხედ-მოიხედა, თვალისწამში დარაბა გამოაღო, მუყაოს ჩარჩოდან ის სურათი ამოგლიჯა და უნაგირზე შეფრინდა.

ცხენის თქარათქურმა ფოტოგრაფი ქუჩაში გამოაგდო, დარაბას თვალი შეავლო, ხელები მაღლა შეჰყარა და მხედარს გამოუდგა.

— მოიცა, შე ღმერთგამწყრალო, სად მიგაქვს ეგ სურათი!

ზურიამ მოიხედა.

— ქონებას მოვლა უნდა, ვალიკო! — გამოსძახა მან და ორღობეში მიიმალა.

ვალიკომ თვალი შეავლო ცარიელ ჩარჩოს, თავი გადააქნია.

— ჭკუაზე შეიშალნენ ჩვენი ბიჭები! ოთხჯერ მომპარეს ეს გოგო, გამაკოტრეს კაცი!

გახარებულმა ზურიამ კი სურათი უბეში შეინახა და ცხენი ააჩქარა.

რომელიღაც ეზოდან ქალის სიმღერა მოისმა. კაცმა ყური მიუგდო.

მოფრინდა მერცხალი,
ატმებიც აყვავდნენ —
შენ, ჩემო შავთვალავ,
სადა ხარ აქამდე!

სადა ხარ,
მთელი დღე
მთის კალთებს გავსცქერი,
ეს შენი ცხენია
თუ თეთრი ჩანჩქერი...

ზურიამ ცხენი მიაბრუნა და ორღობეში შეუხვია.

— აქეთ საით ზური? — შეეხმიანა თავჩობანს მზეზე მიფიცხებული ბერიკაცი.

— მომწყინდა, პაპაჩემო, მარტო სიარული, ქალი უნდა მოვიტაცო! — გაეხუმრა ზურია.

იმ ეზოს რომ მიუახლოვდა, რიხი ერთბაშად გაუნელდა, ცხენი შეაყენა...

— უკვე მიდიხარ, ზურაბ! — ტკრუშულს ახალგაზრდა ქალი მოადგა. წელან კობაიძემ სწორედ მისი სურათი მოსტაცა სოფლის ფოტოგრაფს.

ზ უ რ ი ა. რა ვქნა, ნინო, ასეთია მწყემსის ცხოვრება!
ნ ი ნ ო. რა უბედური იქნება შენი ცოლი! წელიწადში თერთმეტი თვე მარტო რა გააძლებინებს!
ზ უ რ ი ა. ეს ამ დილით უკვე მითხრა ერთმა ქალმა.
ნ ი ნ ო. (მოიღუშა) ქალმა?!
ზ უ რ ი ა. (არ დაახანა) დედაჩემმა მითხრა.
ნ ი ნ ო. მართალი უთქვამს.
ზ უ რ ი ა. ნახვამდის, ნინო.
ნ ი ნ ო. მოიცა, ზურია, წყარომდე გაგაცილებ.
ზ უ რ ი ა. (ცხენიდან ჩამოხტა) არ გეშინია, რომ მოგიტაცო?
ნ ი ნ ო. არ გავხარ ბიჭო, მომტაცებელს!
ზ უ რ ი ა. თუ არ ვგავვარ, გუშინ საღამოს სად გაიქეცი?
ნ ი ნ ო. გუშინ ისე მინდოდა...
ზ უ რ ი ა. ნეტავი ერთი შენს გულში ჩამახედა!
ნ ი ნ ო. ასე ადვილია ქალის გულში ჩახედვა?
ზ უ რ ი ა. მეც მაგას ვსტირი (ხმა შეეცვალა) ძალიან გამოცვლილხარ, ნინო, ამ ერთ წელიწადში... გალამაზებულხარ!
ნ ი ნ ო. (დროა ყველაფერი ხუმრობად აქციოს) მე მუდამ ლამაზი ვიყავი.
ზ უ რ ი ა. მუდამ ლამაზი იყავი, ნინო! ლამაზი და კარგი... მხოლოდ ჩვენი მწყემსები მაინც გემდურიან!
ნ ი ნ ო. რა დავაშავე ასეთი!
ზ უ რ ი ა. მთაში ერთხელაც არ გვესტუმრე. ჩვენთან ყველა მოდის, მხოლოდ შენი გუნდი აღარია გვწყალობს! ამ ზაფხულს მაინც გაგვახარე...
ნ ი ნ ო. რა ვქნა, ზურია, ბავშვებს რომ დავითხოვ, თბილისში უნდა წავიდე სემინარზე.
ზ უ რ ი ა. იცი, რა ლამაზია იქაურობა? უკან დაბრუნება აღარ მოგინდება... ჩემი ახალი ჯიშის ცხვარსაც გაჩვენებ!
ნ ი ნ ო. ცხვარი არ მინახავს?!
ზ უ რ ი ა. იცი რა მატყლი აქვს! ერთი ჩემი ცხვარი ერთ პატარძალს კიდეც ჩააცმევს და კიდეც დაახურავს!
ნ ი ნ ო. ეს რომ მცოდნოდა, აქამდე მაჭანკალს გამოგიგზავნიდი!
ზ უ რ ი ა. შენ სულ ასე ხუმრობ... მე კი...
(ვენახების ბოლოდან ყვირილი მოისმა)
ნ ი ნ ო. რა მოხდა!
ზ უ რ ი ა. მოიცა, ნინო, რამე უნდა გითხრა!
ნ ი ნ ო. (ვითომ არ გაუგონია) წამოდი, ხედავ, რა ამბავია!
ყვირილი და ხმაური გაძლიერდა.
ზ უ რ ი ა. (გულდაწყვეტით) მოვდივარ.
მინდორში ტრაქტორი დგას. ორიოდე კვალი გაუტანია და საქცევზე გაჩერებულა. რაიონის მთავარი აგრონომი არჩილ ყანჩაშვილი გაცეცხლებული ედავება ზურია კობაიძის ბრიგადის წევრებს, — მოხუც მამუკას და არსენა ჩოხელს. ჩალისფერ ავტომობილთან ხმაგაწყვეტილი თურმანა და ყანჩაშვილის შოფერი შაქრო ხარაბაძე დგანან.
მ ა მ უ კ ა. არ შეიძლება ამ მინდვრების მოხვნა, პატივცემულო უფროსო! არ შეიძლება. წლიდან-წლამდე ჩვენი ცხვარი ამ გარდამავალ საძოვრებზე ბრუნავს!.. გზაზე ბალახს ვერ მოვაკლებ!
ა რ ჩ ი ლ ი. ცხვარზე დადგა ეს ქვეყანა, კაცო! სხვა არაფერი გვინდა?!
მ ა მ უ კ ა. კი მაგრამ, ჩვენ სადღა ვაძოვოთ ცხვარი, მთიდან რომ ჩამოვალთ!
— მოიძებნება, — მიუგო არჩილმა, თუმცა კარგად იცის, რომ ოლე-ივრის მიდამოები ძველთაგანვე საუკეთესო საძოვრებად ითვლება საქართველოში. აქ გაეფინება ხოლმე თრიალეთიდან მობრუნებული ცხვარი. ფარები ნელა-ნელა ბრუნავენ ამ საძოვრებზე და საზამთრო ბინებისაკენ მიიწევენ.
ა რ ჩ ი ლ ი. (ტრაქტორისტს) შენ რაღას უცდი, ბიჭო! მიდი!
ბიჭმა სიჩქარე ჩართო, რომ უეცრად ტრაქტორის წინ ზურია კობაიძე აღიმართა. თავჩობანს ყველაფერზე ეტყობა, უკან არ დაიხევს, ტრაქტორს გზას არ მისცემს... ნინო ამას ხედავს და ზურიას ფერშეცვლილი მისჩერებია.
ზ უ რ ი ა. (მტკიცედ) ადგილიდან არ დაიძრა, დათავ!
არჩილი ფიცხლავ შემობრუნდა, ტრაქტორის წინ დარჭობილ კაცს ახედდახედა.
—შენ ვისი...
უგვანო სიტყვა აღარ დაამთავრა — ნინო დაინახა და თავი შეიკავა, მხოლოდ ცოტა უფრო ხანგრძლივ მიაჩერდა ამ ლამაზ უცნობ ქალს, ვიდრე ეს აქაურ დავიდარაბას შეშვენოდა.
ა რ ჩ ი ლ ი. შენ ვინა ხარ!
ზ უ რ ი ა. უფროსი მწყემსი ზურია კობაიძე გახლავარ. აქ ჩვენი საძოვრებია. თქვენ ვინ ბრძანდებით.
ა რ ჩ ი ლ ი. ვინცა ვარ, ისა ვარ! მოეცალე, გზა მიეცი!

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# ვანო სარაჯიშვილი

ამას წინათ სიამოვნებით მოვისმინე რადიოგადაცემა ვანო სარაჯიშვილზე, მომაგონა წარსული. მახსოვს, იტალიიდან დაბრუნებისას ვანომ ერთი საღამო ჩვენს ოჯახში გაატარა. ძალიან ბევრს მღეროდა, ხან ქართულ და ხანაც იტალიურ სიმღერებს; დიდი ხვეწნა არ იყო საჭირო; როცა შენიშნავდა, რომ რომელიმე სიმღერა ძალზე მოგვეწონა, გაიმეორებდა ხოლმე და აღტაცებაში მოვყავდით. ის საღამო წარუშლელად დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

ჩემს არქივში შემონახულია მასალები, რომლებიც ერთგვარად შუქს ჰფენენ ვანოს ცხოვრების ცალკეულ დეტალებს, კერძოდ იმ ამბავს, თუ როგორ ეხმარებოდნენ მას ქართველი მოღვაწენი, რომ უბადლო მომღერალს გზა გაეკაფა და ფართო ასპარეზზე გამოსულიყო. მინდა ეს მასალები გავაცნო მკითხველს.

ვანოს ნათესავს, კონიაკის ქარხნის დამაარსებელს, ქიმიური მეცნიერების დოქტორს, ყველასათვის ცნობილ ქველმოქმედს დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილს დიდად უნდა ვუმადლოდეთ: იგი ხელს უწყობდა მატერიალურად ვანოს, ყოველთვიურად უგზავნიდა მას სტიპენდიის სახით ორმოცდაათ მანეთს. ვანო იმ დროს პეტერბურგში გადიოდა სიმღერის კლასს.

ვანოს უფროსი ძმა, ალექსანდრე პეტრეს-ძე სარაჯიშვილი, დავითის ნათესავი, დიდი მეგობარი და ამასთანავე მარჯვენა ხელი იყო; ალექსანდრე მასთან მუშაობდა და მართავდა კონიაკის ქარხნებს, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იყო აგებული. ისიც დიდ მზრუნველობას იჩენდა ვანოს მიმართ და თავის მხრივ უგზავნიდა მას ფულს.

მოწინავე ქართველი საზოგადოება ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორც კი შეეძლო, ხელი შეეწყო მატერიალურად და მორალურად ყველა ქართველი ახალგაზრდისათვის, რომელიც ნიჭს გამოიჩენდა და მომავლის იმედს იძლეოდა.

დედაჩემი — ივანე მაჩაბლის ქვრივი — თვითონ ხელმოკლე, ყოველნაირად ცდილობდა დახმარება გაეწია ქართველი ახალგაზრდებისათვის, ან სამუშაოზე მათი მოწყობით, ან კიდევ ფულადი დახმარების შეგროვებით, სტიპენდიის დანიშვნით და სხვ. უმთავრესად ეს ეხებოდა რუსეთში მოსწავლე ღარიბ სტუდენტებს. ვანო სარაჯიშვილიც ძალიან საჭიროებდა ასეთ დახმარებას.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მკითხველს გავუზიარებ რამდენიმე ამონაწერს წერილებიდან, რომლებსაც ერთიმეორეს სწერდნენ დედაჩემი და მისი დაი — ბაბო ბაგრატიონი, რომელიც ერთ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. აი რას სწერდა დეიდა ბაბო დედაჩემს 1906 წლის 10 მარტს:

„ვანო სარაჯიშვილზე რა მოგწერო? ღებულობს დავით ზახარიჩისგან 50 მანეთს. შეიძლება განა 50 მანეთზე ცხოვრება? ჰყავდეს აკომპანიატორი ქალი, ჰქონდეს როიალი და ჩაიცვას კიდეც? ყველა ამბობს, უნდა წავიდეს სასწავლებლად იტალიაშიო. დებიუტის დღეს ესაჭიროებოდა კოსტუმი, სჭირდებოდა პალტო, რადგან დაგლეჯილში დაიარებოდა. ვისესხე მისთვის 200 მანეთი. მისი ბედი წყდებოდა და რა მექნა? ნელ-ნელა ვისტუმრებ ვალს. თუ რამე მოხერხდება, გააკეთეთ მისთვის. დებიუტმა ჩინებულად ჩაიარა, მაგრამ, რასაკვირველია, ჯერ მოწაფეა“.

თვე-ნახევრით გვიან დეიდა ბაბო სწერდა დედაჩემს:

„კარგი იქნებოდა, თუ ვანო სარაჯიშვილს მოუხერხებდნენ გამგზავრებას იტალიაში. დავით ზახარიჩისგან ღებულობს 50 მანეთს და აზნაურობაც უგზავნის 30 მანეთს, მაგრამ ძალიან არარეგულარულად.

იტალიელ მომღერლებს შევეკითხე, მათ მითხრეს, რომ მას დასჭირდება ყოველთვიურად არანაკლებ 100 მანეთისა: მასწავლებლის, როიალისა და ყველაფრისათვის. მერე მას სჭირდება ერთდროულად 300-400 მანეთი. ვალები აქვს, საზღვარგარეთ წასასვლელია, გზის ფული დასჭირდება და კოსტუმი. ახლა აქ არის და აგრძელებს გაკვეთილებს“.

თბილისშიაც არ აკლებდნენ ზრუნვას, რომ ვანოსათვის ხელი შეეწყოთ და იტალიაში გასამგზავრებელი ფული შეეგროვებინათ. იმავე წელს, პეტერბურგიდან დაბრუნებულ ვანოს გამოსვლა მოუწყეს თბილისის ოპერის თეატრში.

ვანო ძალიან აფასებდა ამ მზრუნველობას. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ შემოვიდა ჩვენთან და ამაზე დედამ მისწერა პეტერბურგში დას:

„ჩემთან იყვნენ ძმები სარაჯიშვილები. ვანო დიდ ბოდიშს იხდიდა, რომ ვერ მოგინახულა. ამბობდა, რომ ძალიან დავალებულია შენგან“ და ა. შ.

ეს დიდი ადამიანი იყო, იმავე დროს, მეტად უბრალო, გულწრფელი, ბუნებით მხიარული; ბუნებამ მისთვის არაფერი არ დაიშურა და ყველა ღირსებით შეამკო.

ელენე ჩერქეზიშვილი

# ვეფხისტყაოსნის ისტორიული ქარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. აბელ კიკვიძე

XI-XII საუკუნეთა მანძილზე, ფეოდალური ქართული სახელმწიფო წყობილების განვითარების ნიადაგზე შემუშავდა დარბაზობისა და ვაზირობის, საერთოდ სამეფო კარის მოქმედების რთული ეტიკეტი, რომელიც შუასაუკუნეების მსოფლიოში, მის პოლიტიკურ ცხოვრებაში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს და ნათლად მოწმობს ქართული კულტურის მნიშვნელობას მსოფლიო ასპარეზზე. ის, რაც ევროპის სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, საფრანგეთისათვის გახდა დამახასიათებელი XVIII საუკუნეში მეფის კარის წესრიგისა და ხელისუფლების უფლება-მოვალეობის დარგში, მის მძლავრ გამოხატულებას უკვე XII საუკუნის საქართველოს სამეფო კარი იძლეოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსების ქმნილებანი, რაც მაღალღირსების მატიანეს წარმოადგენს, „ხელმწიფის კარის გარიგება“ — ძველი მსოფლიოს ისტორიოგრაფიაში ეს იშვიათი გამონაკლისი, „მეფის კურთხევის წესი“ და სხვა ისტორიული ძეგლები ასახავენ ქართული სახელმწიფო წყობილების მაღალ კულტურას, რაც კარგად უდგება „ვეფხისტყაოსანს“ და, როგორც ამაში დავრწმუნდებით, XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო წყობილების წესები და ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიული ცხოვრება შოთა რუსთაველს თავისი გენიალური ქმნილების ქარგად გაუხდია.

თვით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — თამარის ცხოვრება-მოღვაწეობის ეს მაღალი ღირსების მატიანე გამსჭვალულია „ვეფხისტყაოსანში“ განვითარებული იდეებით.

ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი (სტროფი 311).
მამა ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი (სტრ. 312).

ტარიელის მამა ითვლებოდა მეშვიდე მეფედ, მაშინ, როდესაც ინდოთა მეფეთამეფე ე. ი. „შვიდთა სამეფოთა“ მფლობელი ყოფილა ფარსადანი.

ფარსადანის გარდაცვალების შემდეგ მისი გაზრდილი ტარიელი შეიქმნა ინდოელთა მეფე:

ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და ალამი უბია (სტრ. 1607).
ტარიელ მიდგა, უყივლა: „მე მოველ მეფე თქვენიო“ (სტრ. 1620).

მეფე თამარის მამის გიორგი III-ის „შესახებ“ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ამან რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შვიდ სამეფოდ განწესებული... აღიჭურვნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყვეტად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა“ („ქართლის ცხოვრება“, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 5); „ჭაბუკმან გიორგი მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა იმერთა და ამერთამან...“ (ქართ. ცხოვ., გვ. 11).

მეფე თამარი „დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისავე სამეფოსათა“ (ქართ. ცხ., გვ. 27). მემატიანეს ყოველი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად მოხსენებული აქვს შვიდი სამეფო: „ხოლო შემყრელთა შვიდთავე ამის სამეფოსა... ჰკადრეს და მოახსენეს“ (იქვე, გვ. 25-26), „მორჩილებდა პირველსავე ბრძანებასა აწ კადრებულსა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთასა“ (იქვე).

ამრიგად, შვიდი სამეფოს პოლიტიკური ტრადიცია კარგად ჩანს თამარ მეფის ისტორიკოსის ქმნილებაში და რუსთაველის მიერ პოემაში დაცული ეს ტრადიცია არ შეიძლება მოვწყვიტოთ ეროვნულ ნიადაგს, რადგან თვით „ვეფხისტყაოსანში“ დაცული ისტორიული რეალიები შესანიშნავად უდგება ქართული ისტორიული ძეგლების ცნობებს.

მაგრამ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საწინააღმდეგო შეხედულება იყო გავრცელებული — თითქოს შვიდი სამეფოს იდეა ნასესხები იყოს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ერთი ცნობილი ქართველი მეცნიერი ამტკიცებდა რომ ეს იდეა ნასესხებია სპარსული რომანებიდან: „შვიდი სამეფო ჩვეულებრივი შაბლონური ადგილია სპარსულ რომანებშიო“.

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — თამარ მეფის ისტორიკოსის ეს თხზულება სავსეა „შვიდი სამეფოს“ ხსენებით თამარსა და გიორგი III-სთან დაკავშირებით. გამოდის, რომ თამარის ისტორიკოსსაც ეს იდეა სპარსული რომანებიდან უსესხებია და თავისი შრომა, რომელიც რეალურ ისტორიულ ცხოვრებას გადმოსცემს, უკეთ რომ ვთქვათ, აღწერს, მას შაბლონურ გადმოცემაზე დაუმყარებია. მაგრამ საქმის სინამდვილე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

ქართველ მეფეებს, და მეტადრე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებს, მათ ისტორიკოსებთან ერთად, მიაჩნდათ, რომ ისინი (მეფეები) ბიბლიური დავითისა და სოლომონის ჩამომავალნი იყვნენ. ისინი, თანახმად დაბადების კონცეფციისა, რიცხვს შვიდს წმინდად თვლიდნენ. შვიდი სამეფოს იდეას ჩვენ უკვე ვხვდებით ლეონტი მროველის თხზულებაში. მისი სიტყვით, ისე, როგორც ბიბლიურ მეფეს სოლომონს ჰყავდა შვიდი შვილი, ქართლოსის მამას თარგამოსსაც ჰყავდა შვიდი შვილი, რომლებიც, როგორც გმირები, იქცნენ ქვეყნის გამგებელ მეფეებად.

ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატსაც ბაგრატიონთა ხელისუფლების სათავე შვიდი ბაგრატიონის სახით ჰყავს წარმოდგენილი. ასეთია, „შვიდი სამეფოს“ იდეური წანამძღვარები საქართველოში.

მაგრამ ახლა რეალურ ისტორიულ ამბებს გადავხედოთ.

უკვე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (+1014 წ.) იწოდება აფხაზთა, ქართუელთა, რანთა და კახთა მეფედ, ხოლო გიორგი II (1072-1089) თავის თავს შვიდი სამეფოს მფლობელად თვლის. ამ მეფის მიერ გაცემულ სიგელში შიომღვიმისადმი, ვკითხულობთ: „ესე ბრძანებაჲ ჩემი არის ბაგრატუნიანისა, ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაჲ, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელისაჲ“. შარვანშას ანუ შარვანის მეფის გვერდით აქ მოხსენებული შაჰანშა ნიშნავს მაჰმადიანი ამირების, დიპლომატიურ სფეროში, იგივე მეფეების მეფეს. ჯერ კიდევ გრიგოლ ბაკურიანისძემ, აღმოსავლეთის სარდლად წოდებულმა, გადასცა გიორგი მეორეს მფლობელობაში კარი (ყარსი) და მისი მიმდგომი ოლქები — ძველი სომხეთის ყოფილ სამეფოს ტერიტორიაზე. ამ ოლქების წინანდელი მფლობელები იყვნენ მაჰმადიანი ამირები, რომელთა სამკვიდროს ქართველი მეფე დაეუფლა. ამიტომ შეეძლო მას ეთქვა, რომ ის იყო შაჰანშა. დავით აღმაშენებლის დროიდან მთელი ამ სამხრეთ მხარის მაჰმადიანური სამფლობელოები, განჯასთან და შარვანთან ერთად, საქართველოს ყმადნაფიც სამეფოებს შეადგენდნენ, რაც უფრო გავრცელდა და განმტკიცდა გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროს.

ამრიგად, შვიდ სამეფოს გიორგი II-ის დროს შეადგენს: აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო), ქართლი მესხეთითურთ, კახეთი, რანი (განჯა), სომხეთი, შარვანი და ერთად აღებული მაჰმადიან მფლობელთა საამიროები. დავით აღმაშენებლიდან ცალკე „აფხაზთა და ქართუელთა“ მეფობის დასახელებას სცვლის წოდება მეფეთ-მეფე: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქართ. ცხოვ. ბროსეს გამოცემა, გვ. 286. ქართ. ცხ., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 115). შარავანდედი მეფობისა, შვიდ სამეფოდ განწესებული“ (ქართ. ცხ., გვ. 5). სიგელებში მაინც დანაწევრებულად გვხვდება საქართველოს მეფის წოდება, რაც უფრო ძლიერდება XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ასე რომ, თუმცა მონღოლებისაგან ამ დროს საქართველოს უკვე ჩამოცლილი აქვს ყმადნაფიცი ქვეყნები, მაგრამ ამას ქართველი პოლიტიკოსები ნამდვილ უბედურებად თვლიდნენ. თავის სიგელში (1266-1268 წ.) დავით ნარინი მაინც მამა-პაპეული მფლობელობის კანონიერ მემკვიდრედ აცხადებს თავს: „სახელითა ღვთისითა დავითისაგან ბაგრატუნიანისა, რუსუდანის ძისა, ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა საქართველოისა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელმან“... (საქართველოს სიძველენი, II, გვ. 6).

ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ იმის შესახებ თუ რამდენი სახელოვანი ომი გადაიხადეს დავით აღმაშენებელმა, დემეტრე I-მა, გიორგი III-ემ, თამარ მეფემ და ლაშა გიორგიმ განჯის, იგივე რანის, შარვანის, სომხეთის, ყარსისა და მისი მიმდგომი მაჰმადიანური სამფლობელოების შემოსამტკიცებლად. ასე, რომ შვიდი სამეფო, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა საქართველოში იდეური წანამძღვარი და რეალურად გიორგი II-ის დროიდან მომდინარეობს, საქართველოსათვის არა „ბარამგურიანის“ შაბლონია, არამედ მისი წარსული ისტორიული სინამდვილე. თითქმის ორასი წლის განმავლობაში ეჭირათ ხელში საქართველოს მეფეებს შვიდი სამეფო და ამ ტრადიციას ვხედავთ არა მხოლოდ ფანტაზიით შეთხზულ მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ რეალური პოლიტიკური ცხოვრების გამომხატველ სახელმწიფო წყობილების ძეგლებში. ეს შვიდი სამეფო შეადგენდა ყოველ ანუ სრულიად საქართველოს ისე, რომ იმდროინდელი ისტორიკოსები ერთი რომელიმე ამ სამეფოს სინონიმად ხმარობდნენ „თემს“: „ამას ესე ვითარცა შინა დაწყებასა წყალობისასა იმერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შვიდთავე თემთასა“ (ქართ. ცხ., II, გვ. 30).

შვიდი სამეფო, როგორც სრულიად საქართველოს შემადგენელი თემები, დადასტურებულია „ხელმწიფის კარის გარიგებითაც“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კარის გარიგება“ XIV საუკუნის ძეგლია, მაგრამ, როცა მისი ავტორი ეხება ერისთავთა და ვაზირთა დანიშვნის წესს, მეფე თამარის დროის მიხედვით, მას მოტანილი აქვს უეჭველი ცნობები თვით თამარის ბრძანებით დანიშ-

ნულ ერისთავ-ვაზირთა შესახებ. „კარის გარიგებაში“ ამის შესახებ ვკითხულობთ: „ერისთავნი და ხელის მქონებელნი დიდისა თამარ მეფისა: რომელიცა განაჩინა თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდსავე სამეფოსა დიდებულთა, ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად, მწიგნობართუხუცესად და ვეზირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ-მეფისა, ანტონ გლონისთავისძე, კაცი ბრძენი და გონიერი“ („კარის გარიგება“, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, მუხლი 30; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1958, გვ. 219). „კარის გარიგების“ ავტორი თავისი შრომისათვის სარგებლობს თამარის ისტორიკოსიდან, და მას არ შეეძლო შეეწყნარებია სპარსული რომანების შაბლონი „შვიდი სამეფო“, თუ ეს შვიდი სამეფო საქართველოს რეალური პოლიტიკური ცხოვრების გამომხატველი არ იქნებოდა. ასეთი ავტორები ხომ საქართველოში მომქმედ სახელმწიფო სამართალზე წერდნენ ისე, რომ ყველაფერი, რაც მოტანილია ან შეიძლება მოტანილი ყოფილიყო „კარის გარიგებაში“, მხოლოდ სინამდვილის ამსახველი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად ეს ძეგლი დაჰკარგავდა თავის მნიშვნელობას. ამგვარად, შვიდი სამეფო ისევე რეალურია „კარის გარიგების“ მიხედვით, როგორი რეალურიცაა მეფის ხუთი ვაზირი. „კარის გარიგების“ მეცნიერული მნიშვნელობისათვის დამახასიათებელია, რომ მისი ავტორი ეკამათება ასეთივე ძეგლის ავტორს, რომელსაც სამი საპატიო დარბაისელის მეფესთან აუდენციის საქმე საწოლის მწიგნობრის ფუნქციად მიუჩნევია. ეს არ არის სწორიო, ამბობს ჩვენი ძეგლის ავტორი და ამის საფუძვლად იღებს არსენი იყალთოელის შრომას („კარის გარიგების“ ერთ-ერთი ავტორი არსენი იყალთოელი ყოფილა), სადაც მესტუმრე გამოდის მეფესთან დარბაისლების აუდენციის მომწყობად და არა საწოლის მწიგნობარი.

თამარ მეფის ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ვისრამიანს იცნობს (ქართ. ცხ., II, გვ. 36) და გამორიცხული არ არის, რომ ბარამგურიანსაც იცნობდეს, მაგრამ „შვიდი სამეფოსათვის“, რომელსაც ის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველად ხმარობს, სავსებით რეალური საფუძველი აქვს. რაც შეეხება სიტყვა „შვიდს“, რომელსაც ის ეპითეტებში მიმართავს, აქ ხომ ბიბლიურ წინასწარმეტყველს ესაიას და მეფე დავითს ემყარება და მათ ნათქვამს მეცნიერულად ასაბუთებს. თამარის სიბრძნე მას წარმოდგენილი აქვს შვიდ სვეტად და ამ უკანასკნელს ადარებს შვიდ მნათობს, „რომელ არიან კრონოს, ზევს, აფროდიტე, აპოლონ, ურმი, ირაკლი და არეა“ (ქართ. ცხ., ბროსეს გამოცემა, გვ. 278). რა აქვს საერთო „შვიდი სამეფოს“ სიმბოლურ გამოხატულებას — თამარის სიბრძნის შვიდ სვეტს და ამის ანალოგიას — ცის შვიდ მნათობს სპარსულ რომანებში გამოყვანილ „შვიდ სამეფოსთან“? არაფერი. ზევსს და აპოლონს განა რაიმე ადგილი ექნებოდათ მაჰმადიანურ სულიერ სამყაროში?

შოთა რუსთაველიც, როგორც ქრისტიანი, უეჭველია იმ სამყაროდან იღებს „შვიდი სამეფოს“ იდეას, რომელ სამყაროსაც თამარის ისტორიკოსი ეკუთვნის. ეს არის წარმართობისაგან გაპოხიერებული ქრისტიანული, და არა მაჰმადიანური სამყარო. ხოლო რადგან XII საუკუნეში „შვიდი სამეფო“ პოლიტიკური საქართველოს შემადგენელი ნაწილებია, მისი თემებია, ჭკუასთან უფრო ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ რუსთაველიც პოლიტიკურ საქართველოს იღებს თავისი „შვიდი სამეფოს“ ქარგად და მას ანზოგადებს.

აკად. ნ. მარს შოთა რუსთაველი მუსლიმანად მიაჩნდა. მისი აზრით, პოეტს უნდა ეცხოვრა XIV საუკუნის მაჰმადიანურ მესხეთში. მაგრამ მესხეთი გამაჰმადიანდა არა XIV საუკუნეში, არამედ XVII საუკუნეში. გამოდის, რომ შოთა რუსთაველი XVII საუკუნის მწერალია. ასეთ მცდარ დასკვნამდე მიდის ყოველი მკვლევარი, რომელიც კი „ვეფხისტყაოსანს“ ქართულ ნიადაგს, საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს წყვეტს და მის სიუჟეტს, მასში განვითარებულ იდეებს აღმოსავლეთ ქვეყნებში ეძიებს.

„ვეფხისტყაოსნის“ შედარება ქართულ ისტორიულ ძეგლებთან, გულდასმით შესწავლა ამ პოემისა და ისტორიული ძეგლების ურთიერთდამთხვევი ადგილებისა უეჭველს ჰყოფს მას, რომ თავისი გენიალური ქმნილების ქარგად შოთა რუსთაველს XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გაუხდია.

თინათინის ხელმწიფედ დასმის წინ სასახლეში შეიყრება ჯარი, დიდებულებთან ერთად, რათა დალოცონ ახლად გამეფებული.

თამარის გამეფების დროსაც სასახლეში შეყრილნი არიან ჯარნი და დიდებულნი.

როსტევანმა თინათინს თავისი ხელით დაადგა გვირგვინი: „დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა“ (სტრ. 45); თამარსაც მისმა მამამ გიორგიმ თავისი ხელით დაადგა გვირგვინი: „დასუა მარჯვენით მისსა... და დაადგა გვირგვინი ოქროსი თავსა მისსა“ (ქართ. ცხ., II, გვ. 21).

თინათინს „თაყვანი სცეს მეფემან და მისთა სპათა, დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა“ (46).

თამარს „თაყუანი სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისავე სამეფოსათა“ (ქართ. ცხ., II, 27).

რაკი დალოცეს თინათინი, ამის შემდეგ „ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა“ (სტრ. 46).

თამარის დალოცვის შემდეგაც „ჰკრეს სპერმურთა ბუკთა, ქოსთა და წინწილათა და იყო ზარი და ზაჰრი ქალაქსა შინა“ (ქართ. ცხ., II, 27).

ზღვათა მეფესთან ტარიელის მისვლის აღსანიშნავ ზეიმზე: „სცემდეს ბუკსა და ტაბლაკსა, გახდა ზათქი და ზარია, დაბდაბისა და ქოსისა ხმა ტურფად შენათხზარია“ (1460).

ხატაელთა დამორჩილების შემდეგ ინდოეთს დაბრუნებული ინდოთა მეფე ტარიელი ბრძანებს: „გლოვა გახსენით, ქოს-წინწილასა ჰკარითო, დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენი კარითო“ (1688).

ლაშა გიორგის დაბადების აღსანიშნავად, კარნუქალაქზე (აზრუმი) ძლევამოსილი ლაშქრობის დროს „ვითარცა გათენდა, ჰკრეს ბუკთა და დაბდაბთა და შეიქმნა ზაჰმი ქალაქთა შინა“ (ქართ. ცხ., II, გვ. 59).

დარბაზობისა და ვაზირობის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ არა მხოლოდ ცნობები გვხვდება, არამედ მთელი პოემა ამ ფონზეა აგებული. მეფის კარზე ავთანდილის გამგზავრების შესახებ პოემაში ვკითხულობთ: „ცხენსა შეჯდა, გაემართა დარბაზს მივა სადარბაზოდ“ (141); დარბაზს მიღწეულ ავთანდილს, როსტევანისაგან გაზრდილს, სპასპეტს და მეფის უახლოეს თანამშრომელს, რომელიც მეფესთან ერთად ნადირობს, შეუძლია პირდაპირ შევიდეს მეფესთან, მაგრამ დარბაზობის წესის თანახმად ეს დაუშვებელია და, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება“ გვითვალისწინებს აუდენციის გამოთხოვას ეჯიბის საშუალებით, პოემაშიც ეს წესი მტკიცედ არის დაცული. „დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია“ (142). ეჯიბის მოციქულობის შემდეგ „უმა შევიდა, თაყვანი-სცა, მადლი რამე მოახსენა“ (145).

ისე, როგორც წესად იყო მიღებული დიდი ხელისუფალის მივლინებიდან დაბრუნებისა თუ უცხო სახელმწიფოდან სტუმრად მოსულთა დახვედრის დროს დიდებულების შეგებება, რასაც თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობები კარგად მოწმობს, „ვეფხისტყაოსანშიც“ დიდებულების მიგებება მაღალის ხელისუფალისადმი, როცა იგი სამეფოში შემოდის, დადასტურებულია. მეფე როსტევანის დასტურით, თინათინის დავალებით, ოცი დღით სამეფო საქმეებზე შორს წასულ ავთანდილს სამეფოში დაბრუნებისას ზეიმით ხვდებიან. „რა მოვიდა, სიხარული შიგან გახდა სამეფოსა, მოეგებნეს დიდებულნი, ძლვენსა სძღვნიდეს იეფოსა“ (148). ავთანდილის გაპარვის გამო როსტევანს დარბაზობა ჩაეშალა: „არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტანს გულგამწყრალსა“ (818).

მეორე დღეს, დილასვე ბრძანა მეფემ მოეყვანათ მასთან ვაზირი და „რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული“ (814), დაავალა მას გაეგო თუ რა მოიმოქმედა ავთანდილმა. ვაზირმა მონებისაგან გაიგო ავთანდილის გაპარვა და თქვა: „...მე დარბაზს ვერ შევალ, მახსოვან დღენი წინანი“ (817). „რა ვაზირი არ შევიდა, კვლავ მეფემან კაცი გზავნის“, (818), „კვლა შევა დარბაზს ვაზირი, დაღრეჯით, არ მხიარულად“ (820). როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, დარბაზობა თავდებოდა პურობით. „ვეფხისტყაოსანში“ ეს წესი მტკიცედ არის დაცული. „ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა, დიდსა შეიქმნენ მეფენი პურობა-დარბაზობასა“ (1121).

ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის განთავისუფლების შემდეგ ტარიელი გადაწყვეტს ავთანდილს გაჰყვეს არაბეთში, გზავნის თავის წარმომადგენელს როსტევანის წინაშე და შეუთვლის მას: „გკადრებ, მეფეო, სურვილთა ხიიეფესა, მე მოვალ, მეფე ინდოთა, დარბაზთა თქვენთა სეფესა“ (1504). ისე, როგორც „კარის გარიგებითა“ და მემატიანეთა ცნობებითაა დადასტურებული, დარბაზობის დროს ჯდომისა და დგომის წესი, ამგვარადვე „ვეფხისტყაოსანში“ ეს წესია დაცული.

ავთანდილი ამირსპასალარია, ის დარბაზობისა თუ პურობის დროს მეფესთან ვერ დაჯდება. მაგრამ რაკი თინათინთან იქორწინა, უკვე მეფეა და თავისი საჯდომი აქვს დარბაზობისა და პურობის დროს, ხოლო როსტევანთან, როგორც უფროს მეფესთან, მაინც ვერ დაჯდება, დაჯდება მის ქვემოთ. ეს ეტიკეტი კარგად ჩანს ტარიელის სიტყვებში და ამის მომდევნო „ჯდომის“ განწესრიგებაში:

„აწ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“.
სახელმწიფო საჯდომი და სხვა დაუდგა ტახტი შორად.
ქვემოთ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი, მათად სწორად“ (1555).

ისეთ ზეიმზე, როგორც ქორწილია, შეუძლებელი იყო მტკიცედ დაცულიყო ჯდომისა და დგომის წესი, როგორც ეს ხდებოდა დარბაზობისა და ჩვეულებრივი პურობის დროს. და აი, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილის დროს, როცა ლხინობდნენ და უხვად გასცემდნენ გლახაკებზე და ქვრივ-ობლებზე ოქროს, თვალ-მარგალიტსა და საერთოდ საბოძვარს, როცა გლახაკნი პირდაპირ სუფრასთან მიდიოდნენ და წარმოთქვამდნენ მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს (სტროფები 1640, 1641, 1642, 1643, 1644).

ვისცა სწადდის, ალაფობდის, წაიღიან უკითხავად
მანდატური არვის სცვიდის, ბოლოს ვინ ჯდის, ანუ თავად (1644).

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ფიროსმანი

# დავითლი ჯიქიძე

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი





ჯარისკაცი შვებულებაში

რაფიელ დანიბეგაშვილი
„18 წელი აზიის ქვეყნებში"
(წიგნის ყდა)





ცხრა ძმა ხერხეულიძე

ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტიას" ილუსტრაცია



დავით აღმაშენებელი



ვასილ ბარნოვის „გველის ზეიმის" ილუსტრაცია



25 წელიწადზე მეტია, რაც მხატვარი-გრაფიკოსი გ. გორდელაძე წიგნების მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ჩვენი გამომცემლობების საქმიანობაში. ამჟამად გ. გორდელაძე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მთავარი მხატვარი რედაქტორია. მისი გაფორმებით გამოვიდა როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე მწერლების მრავალი წიგნი, მათ შორის, დავით გურამიშვილის თხზულებანი, კრებული „არმაღანი", საადის ნაწარმოებები, მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი" და მრავალი სხვა.

გ. გორდელაძე ხელმძღვანელობს „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემის მხატვრული გაფორმების საქმეს. მხატვარი-გრაფიკოსი 1944 წლიდან ღებულობს მონაწილეობას მხატვრების ნამუშევრების რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. გ. გორდელაძე არის ავტორი საინტერესო მხატვრული ტილოებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია „ქიდაობა ანანურში", „სამასი არაგველის გმირობა" და სხვ.



დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაცოცხლებული ტრადიცია

დიმიტრი ყიფშიძის ნამუშევრები მე პირველად ამ ორი წლის წინ ვნახე. პოეტმა მორის ფოცხიშვილმა გამაცნო იგი და მის სახელოსნოში წამიყვანა.

დიდხან ვიდექი მოხიბლული ვეება ხმელ წიფელთან, რომელიც შექმნილია ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მოტივების მიხედვით. დიდხანს შევცქეროდი ბოროტზე კეთილის გამარჯვების გამომსახველ სიმბოლიზირებულ კომპოზიციას

რამდენიმე თვის წინათ, მიტოსთან ერთად ილია ერენბურგთან მოვხვდი. საუბარი გაიმართა ჭედური ხელოვნების ტრადიციებზე, რომლებიც შორეულ წარსულიდან, ბექა და ბეშქენ ოპიზარებიდან მომდინარეობს; ეს დარგი დღეს ნამდვილ აღმავლობას განიცდის. საქართველოში უკვე მუშაობს მთელი პლეადა ჭედური ხელოვნების ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდა ოსტატებისა.

ილია ერენბურგს აინტერესებდა ჭედური ხელოვნების განვითარების თანამედროვე ტენდენციები. მან შენიშნა, რომ მისი აზრით მონუმენტურობა ამ უძველესი ხელოვნების განვითარების ყველაზე უფრო პერსპექტული მიმართულებაა ჩვენს დროში.

ჭედურ. ხელოვნებას, ფრესკებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს — იგი არასოდეს არ დაზიანდება ჰაერზე, მასზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს თოვლი, წვიმა, მზე და ქარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ნაჭედობებით შეიძლება არა. მარტო შიგნიდან გაფორმდეს საზოგადოებრივი შენობები არამედ გარედანაც და ამით შეიქმნას ლამაზი. თავისებური ეროვნული ანსამბლები.

მიტო ყიფშიძე, როგორც მხატვარი, ყურადღებას იპყრობს ჩანაფიქრისა და მისი ხორცშესხმის პოეტურობით. იგი თავისი ნამუშევრებისათვის სიუჟეტებს ხალხურ ლეგენდებსა და თავისი საყვარელი პოეტის — ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ეძებს. მაგრამ მიტო ილუსტრატორი როდია. იღებს რა საფუძვლად ლიტერატურულ ნაწარმოებს ან ხალხურ ბალადას, იგი თავისი შთაგონების ძალით თავისებურად გარდაქმნის მათ.

თითბერი და ალუმინი, სპილენძი და ჩვეულებრივი თუნუქი — აი მჭედავის სამუშაო მასალა თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში მიტომ მიაღწია გამოსახულების უაღრესად დამტეობას. რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მიტო ჰქმნის ახალ ნაწარმოებებს გენიალური პოემის მოტივებზე.

როცა გასული წლის ნოემბერში მე ხელმეორედ ჩამოვედი თბილისში, მიტომ მკითხა: „ჩამოიტანე ერენბურგის ახალგაზრდობის დროინდელი პორტრეტი?" საქმე იმაშია, რომ ყიფშიძემ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ჭედური ფსიქოლოგიური პორტრეტი. ასეთია მისი ვაჟა, ნიკო ფიროსმანი. მოსკოვში ყოფნისას კი მიტომ გადაწყვიტა შექმნას ახალი ნაწარმოებები, რომელთა თემა იქნება ხალხთა და პოეტთა მეგობრობა; კერძოდ, ამ ციკლის ერთ-ერთი ნამუშევარი იქნება „ტიციან ტაბიძე და ილია ერენბურგი". სწორედ ამისათვის დასჭირდა მას ახალგაზრდა ერენბურგის ფოტოსურათი.

რა შეიძლება კიდევ დავუმატოთ ამ პატარა წერილს მეგობარ მხატვარზე. მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება იმის აღნიშვნა, რომ ყიფშიძის ნაწარმოებებმა უმალ მიიქციეს ყურადღება მოსკოვში. მის შემოქმედებაზე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქართული ჭედური ხელოვნების აღორძინება ჩვენი კულტურის ერთ-ერთ მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს.

ალ გლეზერი

# [illegible]

**მიხეილ ქვლივიძე**

უერთგულესი ქვეშევრდომი ვარ
შენი ლექსის და შენი კაცობის...




სიმონ ჩიქოვანი.

იმ დროს სიმონ ჩიქოვანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. მე, თექვსმეტი წლის ყმაწვილს, „ახალგაზრდა პოეტის“ სახელი მერქვა და იმ სახლს, მარჯანიშვილის ქუჩაზე რომ დგას, მხოლოდ შორიდან ვუვლიდი — მორიდებით და ერთგვარი შიშითაც კი.

„ახალგაზრდა პოეტის“ ეს აჩემებული ტიტული არაფერს კარგს არ უქადდა კაცს — არც მაშინ და არც დღეს. ჩემს თავზე მოგახსენებთ: ამხანაგები გადაჭარბებით მაქებდნენ, მე, რასაკვირველია, მთლიანად ვეთანხმებოდი მათ აზრს, ხოლო ქართულ ლიტერატურას, ქართველ მკითხველებს წარმოდგენაც კი არ ქონდათ, თუ ვარსებობდი ქვეყნად.

მძიმე დრო იდგა. ომის არტახებით შებოჭილ ქვეყანას უჭირდა, მრავალ ოჯახთა შორის, უჭირდა ჩემს ოჯახსაც.

წუხდა დედა. მამა და ძმა ფრონტზე იყვნენ წასული. წუხდა დედა იმას, რომ ახალგაზრდა სტუდენტი შვილი, ჯარში წაყვანის მოლოდინში, ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა და ოჯახში პურისა და მარგარინის მიმტანი არავინ იყო.

ხსოვნას შემორჩა დაღლილი, ღარიბად ჩაცმული ადამიანების გრძელი რიგები „დახურულ განმანაწილებლებთან“ (ასე უწოდებდნენ მაშინ სპეციალურ მაღაზიებს, რომლებზეც მცხოვრებლები იყვნენ მიმაგრებული). მახსოვს მწვანე ვილისი მწერალთა კავშირის კართან, რომელიც „მწერლების თავმჯდომარეს“ დაატარებდა. ისიც მახსოვს, თუ როგორი მოთქმით იტირა დედამ, როცა უწყინარი ფოსტალიონის ტანისამოსში გამოწყობილმა ომის შემზარავმა ლანდმა შემოალაჯა ჩვენს ბინაში და ძმის დაღუპვის ქაღალდი დასტოვა მაგიდაზე.

პატივმოყვარე ფიქრებს რაღაც განსაკუთრებული მომავლის შესახებ გულის სიღრმეში ვინახავდი და არავის არ ვუმჟღავნებდი. დაბეჭდვაზე ვოცნებობდი, მაგრამ არა იმისთვის, რომ მესახელებინა თავი. ჩემი საზრუნავი სხვა იყო. მენატრებოდა, როგორმე ისე წარმართულიყო საქმე, რომ ჩემს მიერ დაწერილ სტრიქონებს ორიოდე გროში მოეტანათ ჩემთვის, რათა საკუთარი შრომით შეძენილი ფულით დედა და მცირეწლოვანი და გამეხარებინა.

ერთი ორჯერ გამბედაობა მოვიკრიფე, თავი შევყავი მწერალთა კავშირში, მაგრამ ერთმა სახელგანთქმულმა მწერალმა (სიმონს აბა როგორ გავეკარებოდი!) ზრდილობიანი და ზოგადი დარიგებებით გამომისტუმრა, თან კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიმითითა ჩემს ახალგაზრდობაზე, თითქო ეს ჩემი დანაშაული ყოფილიყოს.

აი, ასეთ დროს შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში სიმონ ჩიქოვანი, ანუ „ბატონი სიმონი“, როგორც მას თაყვანისცემითა და სიყვარულით მიმართავდნენ მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ჩემი ტოლები და ჩემზე უფრო ახალგაზრდები.

აღარ მახსოვს, ვინ მირჩია სიმონთან მისვლა. ის კი კარგად მახსოვს, რა ქარიშხალი ტრიალებდა ჩემს სულში, როცა გმირთა მოედანზე აღმართულ ნაცნობ შენობას მივუახლოვდი და თერთმეტსართულიანი კოშკის ძირში გაჩერებული მწვანე ვილისი შევნიშნე.

სანამ მეექვსე სართულზე ავედი, როგორც იტყვიან, ჩემი დამემართა. ფეხს ვითრევდი და მაინც მივდიოდი. მესირცხვილებოდა ჩემი საქციელი. ასე მეგონა სამათხოვროდ ვიყავი მოსული დიდი თანამდებობის კაცთან, რომელსაც, დარწმუნებული ვიყავი, არაფერში ეპიტნავებოდა ჩემი ლიტერატურული ნაცოდვილარი და, უკეთეს შემთხვევაში, მიხვდებოდა რა ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობას (ეს ჩაცმულობაზედაც მეტყობოდა), მოწყალებას გაიღებდა და ერთი-ორ ლექსს დამიბეჭდავდა, ისიც იმისთვის, რომ თავიდან მოეშორებინე და მეტი აღარ შემეწუხებინა.

და მაინც შევაღე ის, თბილისში ამჟამად ჩემთვის ყველაზე საყვარელი ოჯახის კარი.

დერეფანში სიმონის მეუღლე მარიკა შემომეგება, პალტო გამხადა, სახელი მკითხა, და მისი ალერსიანი, გამამხნევებელი ღიმილი შემიძღვა ოთახში, სადაც ნატო ვაჩნაძე, ელენე ახვლედიანი და ვერიკო ანჯაფარიძე დამხვდნენ.

სიმონმა წარუდგინა სტუმრებს ჩემი თავი ისე უბრალოდ, ბუნებრივად და ამხანაგურად, თითქოს მე მისი ძველი ნაცნობი და ტოლიც ვიყავი (კარგად მახსოვს ასე თქვა: „ეს პოეტი მიშა ქვლივიძეაო, სამხატვრო აკადემიაში სწავლობსო. სიტყვა „ახალგაზრდა“ არ უხსენებია), მერე ქალებთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო და მე მივხვდი, რომ ამით სულის მოთქმა მაცალა, მერე კი შეუმჩნევლად მეც ჩამითრია საუბარში, რომელიც მხატვრობას ეხებოდა და... მოკლედ, ყველაფერი გააკეთა ამ ღვთისნიერმა კაცმა იმისათვის, რომ გავშინაურებულიყავი და საკუთარ ოჯახში მეგრძნო თავი.

ისე მოხდა, რომ მე თვითონ ვთხოვე მასპინძელს: თუ შეიძლება, ლექსებს წაგიკითხავ-მეთქი.

სავარძელში ღრმად ჩამჯდარი, ჰერს მისჩერებოდა ოდნავ მოჭუტული თვალებით და ყურადღებით მისმენდა. ბევრი ლექსი წავიკითხე, თითქმის ყველაფერი, რაც ზეპირად მახსოვდა.

არაფერი უთქვამს, სდუმდა, ფიქრობდა. მე კი...

ალბათ, ყველა დამწყებ მწერალს გამოუცდია ასეთი რამ: თითქო სავსე ჭურჭელი ვიყავი და უცებ დავიცალე. საოცარ დაღლილობას ვგრძნობდი. აღარაფერი არ მინდოდა, სულ არაფერი. ისევ გამახსენდა, რომ „ამხელა“ კაცთან ვიყავი სახლში, კაცთან, რომელსაც არაფერი არ აკლია, რომელიც სახელმოხვეჭილია და ყოვლისშემძლე და... აი, ვფიქრობდი, ახლა, დამიწყებს ჭკუის სწავლებას, ქედმაღლურად შეაქებს ან დაიწუნებს ლექსებს ან ცალკეულ სტრიქონებს, მერე აუცილებლად ჩემს ასაკს გადასწვდება, მეტყვის, რომ უნდა ბევრი ვიკითხო წიგნები, უფრო უკეთ გავეცნო ცხოვრებას, მისაყვედურებს „უიდეობას“, „სპილოს ძვლის კოშკში“ გამოკეტვას, „ინდივიდუალიზმს“, „აპოლიტიკურობას“ და, ვინ იცის, კიდევ რას!

სიმონი კი ადგა, გამიყვანა თავის სამუშაო ოთახში, სავარძელზე მიმითითა და მითხრა: აგერ დაჯექი შენ, ახალ ლექსებს წაგიკითხავ, წუხელ დავწერე და შენი აზრი მაინტერესებსო. სუნთქვა შემეკრა ამ სიტყვების გაგონებაზე. მადლიერების ცრემლი მომაწვა ყელში და მე მივხვდი, რომ ეს იყო — ყველა შეფასებაზე უფრო დიდი და მაღალი, ეს იყო — მხჯავრიც, თანაგრძნობაც, გამხნევებაც, გზის დალოცვაც და კიდევ მეტი — ეს იყო დიდი გაკვეთილი, პასუხი, რომელიც ამ კაცმა გასცა იმ უნდობლობას და ეჭვს, რასაც მე, ჩემი უმწიფარობის გამო, გულში დავატარებდი.

მეორე დღეს სიმონ ჩიქოვანმა თავისთან დამიბარა, მწერალთა კავშირის კმაყოფაზე ამიყვანა და ჩემს ყმაწვილურ ლექსებში, რომლებიც ჯერ არსად არ იყო გამოქვეყნებული, პირველი ჰონორარიც მომცა: თეთრი პური, კარაქი და შაქარი.

გაიხარა ოჯახმა.

ამას მოჰყვა სულ მალე რამდენიმე ლექსის დაბეჭდვაც, მერე პატარა წიგნის გამოცემაც და ის იყო — მე და ანიკო კალანდაძემ ერთდროულად შევაღეთ ქართული მწერლობის კარი.

ერთი, ყველა კაცური კაცის დამახასიათებელი თვისება ჰქონდა სიმონ ჩიქოვანს: თავის ნაცნობსა თუ მეგობარს გაგაცნობდა ისე, თითქო ძვირფასი სა-

ჩუქრით დაგასაჩუქრებდა. არასოდეს არ შურდა თავისი პირადი მეგობარი სხვისთვისაც „დაეთმო“ სამეგობროდ, თავისი სიხარული თუ აღმოჩენა სხვისთვისაც გაეზიარებინა. ასე გამაცნო და დამაახლოვა ჩიქოვანმა მიკოლა ბაჟანს და ბორის პასტერნაკს, ვიქტორ გოლცევს და ალექსი სურკოვს, ნიკოლოზ ზაბოლოცკის და მაქსიმ რილსკის, ასე გამიყვანა ამ დიდმა მამულიშვილმა მე — ჯერ ახალგაზრდა მწერალი იმ ფართო გზაზე, რომელსაც ხალხთა და ლიტერატურათა ძმობის გზა ეწოდება.

სიმონ ჩიქოვანს უნდა ვუმადლოდე აგრეთვე იმასაც (და ყველაზე მთავარი ალბათ ეს არის) თუ დღეს, ჩემს მოკრძალებულ ლიტერატურულ შრომას რაიმე საზოგადოებრივი ჟღერადობა გააჩნია.

სიმონმა იცოდა ჩემი გარეკახელობის შესახებ და ამიტომ, როდესაც სამგორში პირველად წყალი მოვარდა, თავისი მწვანე ვილისით წამიყვანა იქ და დამაწერინა არსებითად პირველი ნამდვილი ლექსი, სადაც ჩემი გულისთქმა ხალხის შრომასა და გარჯას დაუკავშირდა.

იქვე სამგორში გავიცანი უკვე ხსენებული ვილისის შოფერი, სიმონის მრავალი წლის ერთგული თანამგზავრი სამება, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ახლა კი, ისევ ჩემს ოჯახს მივუბრუნდები.

ომის დამთავრების სიხარულს დედაჩემის მძიმე ავადმყოფობა მოჰყვა, კარგა ხნით დავცილდი სიმონს. დედა ლოგინად იყო ჩავარდნილი, ერთადერთი მისი მომვლელი მე ვიყავი და აბა, სად მქონდა ლექსებისა და ან მეგობრებში მისვლა-მოსვლის თავი.

მალე გამოირკვა, რომ დედას კიბო სჭირს. ოპერაციამ უშედეგოდ ჩაიარა და ავადმყოფს რენტგენოთერაპია დაუნიშნეს; ეს კი ნიშნავდა იმას, რომ დასუსტებული დედა ყოველდღე უნდა მეტარებინა რენტგენოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც სათანადო დანადგარები იყო და სეანსის ჩატარების შემდეგ სახლში მიმეყვანა. რა მექნა, არ ვიცოდი; არც მანქანა მყავდა და არც იმდენი ფული მქონდა ყოველდღე მანქანა მექირავებინა.

და აი, ერთ დღეს, ქუჩაში მანქანის საძებრად გამოვარდნილს, ჩემი სახლის კარებთან მწვანე ვილისი დამხვდა. სამება ოთახში შემყვა, ორივენი დედაჩემს მხარში ამოვუდექით, ჩავსვით მანქანაში და ინსტიტუტში წავიყვანეთ. იქ, სანამ დედას მკურნალობდნენ, სამება გარეთ მიცდიდა; მერე დედაჩემი სახლში მიიყვანა.

ასე, ორი კვირის განმავლობაში, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მანქანა ემსახურებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ლექსებს წერდა, მაგრამ მწერალთა კავშირის წევრი არ იყო.

იმ წელს დედაჩემი გარდაიცვალა...

იმ წელს მიმიღეს მწერალთა კავშირის წევრად...

იმ წლიდან ვთვლიდი და ვთვლი სიმონ ჩიქოვანს ჩემს სულიერ მამად.

* * *

სიმონ ჩიქოვანის გასვენებაზე აზობოქრებულ ხალხის ზღვაში სამებას მოვკარი თვალი. თხუთმეტი წელი არ მენახა. იდგა უბრალო მუხრანელი კაცი, შოფერი, დიდი მწერლის ცხედართან და ბავშვივით ზლუქუნებდა.

და მე გავიფიქრე მაშინ, რომ აქ შეკრებილ მრავალრიცხოვან მგლოვიარეთა შორის, რომელთაგან ბევრმა კარგად იცის ვინ ან რას ეთხოვება საუკუნოდ, მხოლოდ ჩვენ ორმა — მე და სამებამ — ვიცით სიმონის შესახებ კიდევ რაღაც ისეთი, რაც სხვებმა არ იციან.

და მე გადავწყვიტე დამეწერა ეს მოგონება.



## სუჯაკ მანველიანი

### მ ო თ ხ რ ო ბ ა

ეს ამბავი ქალაქის ერთ საფოსტო განყოფილებაში მოხდა. მოხუცი ფოსტალიონი გრიგოლ ავეტისიანი პენსიაზე გადიოდა და იუბილეს უხდიდნენ.

ერთმანეთის მიყოლებით სიტყვებს წარმოსთქვამდნენ მისი ამხანაგები, ნაცნობები, მისი უბნის მცხოვრებნი, ბოლოს თვითონ მოხუცი ავიდა ტრიბუნაზე, გაიხსენა თავისი ცხოვრება. მისი ნაამბობიდან ერთი ამბავი ჩამებეჭდა მეხსიერებაში და იმან დამაწერინა ეს პატარა მოთხრობა.

პატარა, გამხდარი ბიჭი იყო გიგო, როცა პირველად აიკიდა ფოსტალიონის მძიმე ჩანთა. პატარა იყო, მაგრამ ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი, ცოცხალი და ცქვიტი. მშობლები ადრე დაეხოცა, ორივე ჟამმა იმსხვერპლა, პირველი მსოფლიო ომის დროს; სხვათა ხელის შემყურე გახდა საწყალი ბიჭი. ეგ კი იყო, ჭკუა იხმარა და გზა არ გაიმრუდა, მუშაობას თავი არ აარიდა და საქმეში ჩადგა. მერე ის იყო, შეხვდა თავისავით საწყალს, უმწეო და უქომაგო მაროს. შეუყვარდათ ერთმანეთი და დაქორწინდნენ. მალე შვილი ეყოლათ, პაწია გოგოს წაღიკი* დაარქვეს. ბავშვს დიდხანს არ უცოცხლია, ყვავილივით მალე დაჭკნა და გარდაიცვალა. მერე დაიბადა აშოტი, გაიზარდა, სკოლაში დაიწყო სიარული. კიდევ გავიდნენ წლები და დაიწყო ახალი ომი. ბიჭი წავიდა ფრონტზე და...

უჰ, რამდენი ხანი გავიდა მას მერე. ახლა გიგო მოხუცებულია, ერთ დროს ცეცხლიანი და მოცინარი თვალები თითქოს ჩამქრალან. ახლა იგი სულ მოღუშული და დაფიქრებული დადის. ერთი შეხედვით მიუკარებელი კაცის შთაბეჭდილებას კი სტოვებს, მაგრამ საკმარისია მიესალმოთ, გამოელაპარაკოთ, რომ მაშინვე გაიღიმებს და სახე გაუნათდება.

წლების განმავლობაში მას დაჰქონდა უბნის ფოსტა. ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი გაუხარებია; მაგრამ რა ექნა — წერილებს ხშირად სამწუხარო ამბებიც მოჰქონდათ.

რომელიმე ეზოსთან მიახლოვებისას ჯიბიდან ამოიღებდა სათვალეს, კონვერტს ყურადღებით დახედავდა და იძახოდა:

— დილა მშვიდობისა, ჩემო კეთილებო, გამოიხედეთ, ბარათია თქვენს სახელზე!

თვალის დახამხამებაში მოათავებდა საქმეს, წარმატებას უსურვებდა ყველას და კმაყოფილი გაჰყვებოდა გზას.

შვილის სიკვდილი მოურჩენელ ჭრილობასავით დააჩნდა მის სულს. ამიერიდან ის უბედური კაცი იყო, და სულ იმას ნატრობდა, სხვას ასცდენოდა ეს მწარე ხვედრი. ეს მის დღეში გაუხარელი კაცი მუდამ ცდილობდა სიხარული მიენიჭებინა სხვებისათვის. რაიმე კარგ ამბავს რომ გაიგებდა, უნდოდა მალე სხვისთვისაც გაეგებინებინა; ტროტუარზე ბავშვი რომ შეხვედროდა, ფრთხილად გზას დაუთმობდა; ოღონდ გაეგო, რომ ვინმეს ვჭირდებიო, არც დროს დაზოგავდა, არც ძალღონეს, თან გადაჰყვებოდა; სულ იმას ცდილობდა, ადამიანისათვის ხელი გაეწოდებინა და რითიმე დახმარებოდა. ეს იყო მისი შვება და სიხარული.

ერთ დღეს გრიგოლმა მოითხოვა წერილების ნაცვლად დეპეშების დამტარებლად დამნიშნეთო. ფოსტის განყოფილებაში ყველა გაოცდა. დეპეშების დარიგება ხომ უფრო ძნელი და რთული საქმე იყო, ძნელი იყო ჯანმრთელი და მკვირცხლი ყმაწვილისთვისაც კი. დეპეშების დამტარებელი იძულებულია შუაღამისას, ხან სისხამ დილაზეც კი ადგილზე მიიტანოს უწყება; ადვილი სათქმელია: დეპეშების დამტარებელი! წერილს, ბოლოს და ბოლოს, აბარებ პატრონს და დანარჩენი შენ არ გეხება, დამშვიდებული გამოდიხარ ეზოდან და ჰაიდა!— არც იცი რა ამბავია დაფარული კონვერტს შიგნით. სხვა საქმეა დეპეშა. კარ-

---

* ყვავილი (სომხურ ენაზე).

---

## მიხეილ სვეტლოვი

## სიმღერა კახოვკაზე

ჩემო კახოვკავ, ჩემო შაშხანავ,
ჰეი, მხურვალევ გაფრინდი ტყვიავ!
ვხედავ ორიოლს, ირკუტსკს, ვარშავას,
კახოვკაც ამ გზის გმირ ქალაქს ჰქვია.

შეტევის გრგვინვას ღამე დარაჯობს,
მას ტყვიამფრქვევის კაკანი ერთვის,
იწვის კახოვკა და აქ ფარაჯით
წინ ქალიშვილი ისწრაფვის ერთი.

შარას მივდევდით მხურვალე მზის ქვეშ,
ღამეც ჩამოდგა ბრმა, ნისლიანი,
მშვიდობის მცველებს დღეს თადარიგში
მატარებელი გვყავს ჯავშნიანი!

გახსოვს, ძმობილო, როგორ ვიბრძოდით?
მეხი გვესხმოდა თავს გამალებით.
კვამლში მოჩანდა და გვიღიმოდა
მისი ცისფერი, ნაზი თვალები.

მაშ გავიხსენოთ დრო სიჭაბუკის,
საქვეყნო ბრძოლის, საქმის და ლხენის,
კვლავ სადღეგრძელო შევსვათ კახოვკის,
სადაც გოგონა ცხოვრობდა ჩვენი.

შარას მივსდევდით მხურვალე მზის ქვეშ,
ღამეც ჩამოდგა ბრმა, ნისლიანი,
მშვიდობის მცველებს დღეს თადარიგში
მატარებელი გვყავს ჯავშნიანი!

1935 წ.

თარგმანი
ვასილ ლაფერაშვილისა



# დეპეშა

მხატვარი დ. ერისთავი

გია, რა თქმა უნდა, თუ სასიხარულო ამბავს მიიტან, მაგრამ ერთიც ვნახოთ ღმერთმა კი ნუ ქნას და ავისმომასწავებელი, ან პირდაპირ სიკვდილის ამბავს ამცნობ ადამიანს. ო, მაგარი ნერვებია საჭირო, ფოლადის ნერვები! ან არა და ქვაკაცი უნდა იყო — ცივი, გულგრილი, განურჩეველი ყველას და ყოველივეს მიმართ. მაგრამ განა ასეთი იყო ჩემი გმირი?!

აი, რატომ ვერ გაიგო და ვერ მიხვდა კანტორის ვერც ერთი მუშაკი, თუ ორმოცდაათს გადაცილებულმა, სუსტმა, თითქმის ავადმყოფმა კაცმა რისთვის იკისრა ასეთი ძნელი საქმე. სცადეს მისი გადაჯერება, გიგომ ყური არავის ათხოვა.

და აი, ყურში ფანქრით, ოდნავ ბეჭებში მოხრილი, დეპეშებით დილიდან გვიან საღამომდე დააბიჯებს იგი უბნის ქუჩებში, შესახვევებში და ჩიხებში, სასიხარულო დეპეშების ჩაბარებისას გულკეთილად იღიმება, იღებს სათვალეს და კითხულობს:

„ხვალ ქორწილია, გთხოვთ დაგვესწროთ“.

— უზომოდ მადლობელი ვარ, — ამბობს ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული ადრესატი და ქვითარზე ხელს აწერს.

— არ კი ვიცნობ, მაგრამ ვულოცავ, — უმატებს მოხუცი, — იბედნიერონ, ტკბილად დაბერეთ! — ამთავრებს ის და გულით უხარია სხვისი ბედნიერება.

— შინ შემობრძანდით, თითო ჭიქა დავლიოთ, დავილოცოთ! — ეხვეწება სახლის პატრონი მხურვალედ.

— არ შემიძლია, მაპატიეთ, მეჩქარება, — პასუხობს მოხუცი და მასპინძელს ეთხოვება.

— სამუშაო ადგილზე ტელეფონი არა გაქვთ? — ეკითხება იგი მეორე ეზოში, — გთხოვთ ნომერი ჩამაწერინოთ, შეიძლება ელვა-დეპეშა იყოს და შინ არ დამხვდეთ...

— ხვალ თქვენი შვილი ჩამოდის, დახვდით, — იძახის იგი ახლა სხვა ეზოში, — მატარებელი ნომერი 57, ვაგონი 6.

სამწუხარო დეპეშა ისე შეაწუხებდა ხოლმე, თითქოს გულზე ლოდი დააწვაო, იჭმუხნებოდა, წუხდა და, ჩვეულებრივ, შორიდან იწყებდა.

— მწუხარება და სიხარული ძმები არიან, უნდა ავიტანოთ... ეჰ, ჩემი აშოტი რომ დაბრუნებულიყო...

ცხრაასორმოცდასამი წლის სუსხიანი ზამთარი იყო. გარეთ ქარბუქი მძვინვარებდა, შინ მარიამი კვდებოდა; თვალები შვილის ამბავს ჰქონდა დაწყვეტილი საბრალოს. აშოტის სიკვდილის ცნობა მამას ადრე მიეღო, მაგრამ ცოლს უმალავდა; რა ექნა, მარტო თვითონ ხომ არ იყო ამ დღეში! მთელი ქვეყანა მოეცვა ზარსა და მწუხარებას. გიგომ ახლა დანამდვილებით იცოდა — საკმარისი იყო ბიჭი გამოჩენილიყო, რომ მისი მწუხარე დედა მოერეოდა სიკვდილს; და მოხუცმა გადაწყვიტა გადაერჩინა ცოლი.

როგორც იყო, იპოვა გამოსავალი. გადაწყვიტა მომაკვდავისათვის გამოეგზავნა ასეთი შინაარსის ელვა დეპეშა:

„კარგად ვარ. შვებულებას მპირდებიან და შეიძლება მალე გინახულოთ. აშოტი“. დეპეშა სხვა განყოფილებიდან გამოგზავნა, დაქანცული მოვიდა სახლში და ფოსტალიონს ლოდინი დაუწყო.

— თვალი მითამაშებს, მარიამ, აი ნახავ, დღეს რაღაცა გაგვიხარდება, — ეჩურჩულებოდა ცოლს, აიმედებდა და თითქოს თვითონაც სჯეროდა, რომ სასწაული მოხდებოდა.

ავადმყოფი არ პასუხობდა, იწვა თვალდახუჭული, გაყვითლებული და გაქვავებული. ხანდახან სუსტად ამოიოხრებდა.

„ელვაა, ნახევარ საათში მოიტანენ“ — ფიქრობდა ფოსტალიონი.

გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... გიგო მოუსვენრად დაბორიალებდა ოთახში, მერე აივანზე გამოვიდა, ისევ მიუახლოვდა ავადმყოფის სასთუმალს, სცადა ენუგეშებინა მომაკვდავი.

დეპეშა კი იგვიანებდა, ავადმყოფი სულ უფრო ცუდად ხდებოდა. გიგო გუნებაში სწყევლიდა ყველა ზარმაცსა და ზანტს, უსულგულო და უპასუხისმგებლო ადამიანს, მერე ძლივძლივობით გავიდა ქუჩაში და მახლობელ ხეს მიეყრდნო.

აი, დეპეშების დამტარებელიც. გიგო გამოცოცხლდა, მას სიხარულით აღმოხდა:

— დიდება შენ და ღმერთო!...

დეპეშა ჩამოართვა დამტარებელს და შინ შევარდა. მაგრამ გვიან იყო, მარიამი აღარ იყო ქვეყნად.

გიგო გაგიჟებული გამოვარდა გარეთ, დეპეშების დამტარებელს დაეწია:

— ეს არის ელვა, შე უნამუსო?! — ღრიალებდა იგი, ცრემლები ახრჩობდნენ.

დეპეშების დამტარებელი ვერაფერს მიმხვდარიყო, რაღაცის თქმასა ცდილობდა, მაგრამ ენა ებმებოდა.

აი, ამ დღიდან გადაწყვიტა გიგომ დეპეშების დარიგება. იმავე დღიდან მის სულში ცეცხლივით ბოლავს უძირო და განუკურნებელი მწუხარება.

„ვინ იცის, დეპეშა რომ დროზე მოეტანათ, იქნება არ მომკვდარიყო მარიამი, — დღემდის ედავება ის თავის ფიქრებს და აქნევს შევერცხლილ თავს, — იქნება გამობრუნებულიყო, რა არ შეუძლია სიხარულს“.

... ახლა დგას იგი კათედრაზე და ჰყვება თავის წარსულზე, სათვალე ხელში უკანკალებს და წინ დახვავებულ დეპეშებს დასცქერის. ვინ და საიდან აღარ ულოცავს! ულოცავენ დიდებიც, პატარებიც, ულოცავენ ის ბავშვები, რომელთაც ერთ დროს ქუჩაში ეალერსებოდა, ახლა ისინი გაიზარდნენ, ცხოვრებაში გავიდნენ, კაცები გახდნენ.

უხარია მოხუცს, იღიმება კიდეც, იცინის, მაგრამ შუბლზე მწუხარების ღრუბელი აკრავს და თვალებში სქელი ნისლი ჩასდგომია. გაღიმებას ცდილობს, უნდა რამენაირად დაფაროს სევდა, მაგრამ თვალები ღალატობენ, ცრემლით ივსებიან. თვალწინ უდგება ნაცნობი, საყვარელი სახეები, იგონებს თავის მძიმე წარსულს, ხედავს თავის ცოლსა და შვილს... მხრები უთახთახებს, სათვალე ხელიდან უვარდება... ო, მძიმეა, მძიმე! იქ მყოფნი უახლოვდებიან, გულში იხუტებენ, ეფერებიან და ეალერსებიან საყვარელ მოხუცს.

სომხურიდან თარგმნა
ზეზვა მედულაშვილმა

რეჟისორი ს. დოლიძე იღებს ახალ ფილმს „შეხვედრა წარსულთან". მთავარ როლებს ასრულებენ ვერიკო ანჯაფარიძე და სერგო ზაქარიაძე.



ფოტო ო. თურქიასი

პაპა, თამრიკო და ნინიკო პარკში მიდიან. ეს სამივესათვის ერთნაირი სიხარულია.





დღეს შაბათია, თამრიკო გაკვეთილს მოამზადებს, პაპა შეამოწმებს. ხვალ კი გასეირნებას ჰპირდება.

ეს არ არის კადრი ფილმიდან „პალიასტომის ტბა". ეს ლისის ტბაა.



# მუშაობისა და დასვენების საათები



## დილარ ივარდავა

## გრენადა

ხარ გალიაში დაღლილი ლომი,
გაქვს თვინიერი სახის იერი,
ისე, ვით აპრილს — გვიანი თოვლი,
ანდა მზის შორი დასალიერი.

ჩამოგშვებია მხრებზე ამხყი,
მოგდუნებია მკვრივი კუნთები,
არავის უმტვრევ მაღალ ალაყაფს
სდუმხარ და...
გტანჯავს სიტყვა უთქმელი.

ქუჩებში თვლემენ ბოშა ქალები,
და... ლუდის კასრებს ცლიან ბასკები.
ლოდინს დაღლილი მღვრიე თვალებით
და მთელი ტანით ჩუმად ასკდები.

შენს ძლიერ შვილებს წყურიათ ისევ,
დიდი ოცნება გარდიქცეს ვნებად...
ხმები, რომელსაც წარსული ისევს,
გჰირდება მიზნის უმაღლეს შვებად.

გრენადა, გრენადა!
მიწა რომ ელავდა
ბრძოლებით, გრიალით, —
სად არის ის წამი
და რად არ იწამე,
რატომ დაგეღვარა
საბრძოლო ფიალა,
გრენადავ!
დროშები აივნებს!
და ბარიკადები
სხეულზე გაივლე,
ისე ვით ვარდები,
გრენადავ!

ბრძოლა და ყიჟინა
ქუჩებს და მოედნებს!
დრო არის,
დრო არის
ისევე მოედოს,
გრენადავ!
...ხარ გალიაში დაღლილი ლომი,
გაქვს თვინიერი სახის იერი,
ისე, ვით აპრილს — გვიანი თოვლი,
ანდა მზის შორი დასალიერი,
გრენადავ!

## დიდი ხნის მერე

დიდი ხნის მერე, დიდი ხნის შემდეგ
გეძახი, მაგრამ ვიცი ამაოდ,
ჩემი ხმა აქვე ოთახთან შედგა
და, როგორც ჩრდილი ჭერზე ქანაობს.

ვერ მოგაწევდინე ახლა მუდარა,
ჰირისუფალზე უფრო მწუხარე
და დარდს ბევრი ხომ აღარ უნდა-რა,
კვლავ აბრიალდა, როგორც ბუხარი.

რა იყო მაინც ის საკვირველი
ჟამი, რომელიც აღარ ბრუნდება...
გამაკვალვინე თოვლი პირველი, —
იმ თოვლით სული დღესაც ბრუნდება.

და ვნატრობ ვიყო ის მონადირე,
რომელმაც ირემს ველარ მისდია, —
ხომ დავთოფავდი მიზანს ადვილად,
მაგრამ უშენოდ გზაზე ბინდია.

...დიდი ხნის შემდეგ, დიდი ხნის მერე
გეძახი, მაგრამ ალბათ ამაოდ, —
ვერ დავიბრუნებ დაკარგულ ფერებს
და... დარდის ზღვაში ნავად ვქანაობ!

# რა ხდება მსოფლიოში

## ყაირათიანობაც ასეთი უნდა!

ამერიკის პრესის ცნობების მიხედვით, ახლახან შეერთებული შტატების სამხედრო უწყებამ—პენტაგონმა მოულოდნელად ორი აღმოჩენა გააკეთა. ერთ ამ აღმოჩენაზე გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერდა: „თავდაცვის სამინისტრომ აღმოაჩინა ფაქტი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ცნობილი იყო სამოქალაქო პირებისათვის, სახელდობრ ის, რომ ფასები კარაქზე სულ იზრდება და იზრდება".

ამერიკელი გენერლების მეორე აღმოჩენა, როგორც იგივე გაზეთი აღნიშნავს, ფეხდაფეხ მოჰყვა პირველს. მათ სიხარულით შეიტყვეს, რომ კარაქის შემცვლელი მარგარინი ბევრად იაფი ყოფილა. თუ გასულ წელს ამერიკის ჯარების სარდლობა საბითუმო ფასებით ჯარისკაცის ულუფისათვის გირვანქა კარაქში 60 ცენტს იხდიდა, წელს უხდებოდა 70 ცენტის გადახდა, მაშინ როცა გირვანქა მარგარინის ყიდვა 16 ცენტად შეიძლებოდა.

გენერლებმა მაშინვე გასცეს განკარგულება: არმიისა და ავიაციის ნაწილების ჯარისკაცთა ულუფაში კარაქი შეცვლილ იქნას მარგარინით. დაიზოგება საკმაოდ მოზრდილი თანხა — 6,5 მილიონი დოლარი წელიწადში.

პენტაგონში კმაყოფილებით მოიფშვნიტეს ხელები: სამხედრო უწყებას ახლა უკვე ვერავინ უსაყვედურებდა უყაირათობას. უკვე გამოჩნდნენ პირველი მადლიერი ადამიანებიც. კონგრესმენმა — დემოკრატმა სამხრეთ-კაროლინას შტატიდან მენდელ რივერსმა ჟურნალისტებთან საუბარში შეაქო პენტაგონი მისი ამგვარი „მისწრაფებისათვის მომჭირნეობისაკენ".

საინტერესოა ისიც აღინიშნოს, რომ განკარგულება კარაქის მარგარინით შეცვლაზე გაცემული იქნა მესამე დღეს მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების სენატმა სამხრეთ ვიეტნამში ომის განგრძობისათვის გამოყო და დაამტკიცა კიდევ 18 მილიარდი დოლარი. თუმცა ახლა, როგორც ჩანს, სანამ თავის ჯარისკაცებს ვიეტნამის სასაკლაოზე გაგზავნის, პენტაგონი მაინც დაზოგავს რაღაც გროშებს მათი ულუფის შემცირების გზით.

## ეს მოხდა კალიფორნიაში

პატარა ბიჭუნას, ერთი წლის დევიდს მოულოდნელად გაუღიმა ბედმა. პასტორმა ალბერტ კოენმა, უდედმამო ბავშვთა სახლის ნახვის დროს, შეიცოდა პატარა ობოლი, და მისი შვილად აყვანა გადაწყვიტა. გულმოწყალე კოენს ამ დროისათვის უკვე ოთხი ბავშვი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, ცოლქმარმა კოენებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს: სადაც პურის ლუკმა ოთხს ყოფნის, იქ მეხუთესთვისაც გამოინახებაო.

მაგრამ პასტორმა ვერ გაითვალისწინა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ბავშვი შავკანიანი იყო. მართალია, მეგობრები აფრთხილებდნენ კოენს, ეს საქმე კეთილად არ დამთავრდებაო, მაგრამ პასტორი დარწმუნებული იყო ღვთისმსახურს არაფერს მაკადრებენ და მრევლიც ქრისტიანულ მოწყალებას გამოიჩენსო.

მაგრამ აქ მოტყუვდა პასტორი, მის მრევლში ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, მდგომარეობა სულ უფრო მწვავდებოდა. ვიღაც უცნობები ტელეფონით ლანძღავდნენ თავიანთ სულიერ მამას და ემუქრებოდნენ კიდეც.

კოენმა დახმარებისათვის პოლიციას მიმართა. მის სახლთან საგუშაგო მოაწყეს. ამან უფრო გააღიზიანა რასისტები. მათ კოენი ტელეფონით გააფრთხილეს:

— თავიდან მოიშორეთ ზანგი ბიჭი, თორემ შენს საკუთარ შვილებს დაკარგავთ!

რომელი მშობლის გულს არ შეაკრთობდა ასეთი საშინელი მუქარა!

პატარა დევიდი ამ ოჯახში თითქმის წელიწადი ცხოვრობდა. იგი გაიზარდა, ყველას შეეჩვია. ბავშვებმაც შეიყვარეს. მაგრამ კალიფორნიის შტატის კანონების მიხედვით, შვილად აყვანამდე დანიშნულია ერთი წლის საგამოცდო ვადა, ეს ვადა უკვე იწურებოდა.

ტირილითა და ცრემლით გამოეთხოვნენ ოჯახში პატარა დევიდს. იგი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში დააბრუნეს, რომელიც ამიერიდან კიდევ უფრო აუტანელ ადგილად გადაიქცა პატარა ზანგი ბიჭისათვის.

## ხალხი, განდევნილი თავისი ქვეყნიდან

შეიძლება თუ არა არსებობდეს ისეთი ქვეყანა, საიდანაც მოსახლეობის 42 პროცენტი განდევნილი იქნება? დაუჯერებლად ეჩვენება ადამიანს, მაგრამ ისეთი სახელმწიფო, რომლის თითქმის ნახევარი მოსახლეობა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, ნამდვილად არსებობს; ეს არის პარაგვაი; 1900 ათასი პარაგვაელიდან საზღვარგარეთ ცხოვრობს 800 ათასი. აი სადამდე მიიყვანა სამხედრო დიქტატორულმა მმართველობამ ქვეყანა, რომელიც ერთ უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად არის გადაქცეული.

პარაგვაიში ამუშავებენ ორმოც მილიონ ჰექტარ მიწას, ეს მთელი გამოსაყენებელი მიწების ორი მესამედია; პარაგვაელი გლეხების 75 პროცენტს არა აქვს საკუთარი მიწის ერთი ციდა ნაგლეჯიც კი, ოცდახუთი მსხვილი მემამულე კი ფლობს 12 მილიონ ჰექტარზე მეტ საუკეთესო მიწას. დანარჩენ 1500 ბობოლას ეკუთვნის 15 მილიონი ჰექტარი, თერთმეტი უცხოური მონოპოლია კი დაპატრონებულია 5 მილიონ ჰექტარს.

მაგრამ ამ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო არა იმდენად ეკონომიური ჩაგვრის გამო, რამდენადაც აუტანელი ტერორის მიზეზით. დიქტატორ სტრესნერის რეჟიმის პირობებში ყველას, ვინც კი თავისუფლებისათვის საბრძოლველად გამოდის, ციხეებში ამწყვდევენ ან ქვეყნიდან სდევნიან. მათ კი, ვინც გლეხობაში აგრარული რეფორმის იდეებს ავრცელებს, აპატიმრებენ და აწამებენ.

ამ დღეებში პარაგვაელმა ხალხმა კვლავ განიცადა დიქტატორ სტრესნერის და მისი ავანჩავანების შემოტევა. სახელმწიფო მმართველთა ხროვამ თავისი რეპრესიები ქალებსა და ბავშვებსაც კი დაატეხა თავზე. ქალაქ ასუნსიონის პოლიციამ სასტიკად აწამა მოსწავლე გოგონები და უნივერსიტეტების სტუდენტი ქალიშვილები იმიტომ, რომ მათ მოითხოვეს სწავლის პირობების გაუმჯობესება.

## თვითმფრინავები ატომური ბომბებით

„მთელი დღე აჩრდილებივით დავწანწალებთ. ჩვენ ახლა დაგვიბრუნეს ჩვენი მიწები, მაგრამ განა შეგვიძლია მათი დამუშავება, როცა არ ვიცით იყიდიან თუ არა ჩვენგან მოსავალს? ნამდვილი ღვთის რისხვა დაგვატყდა თავზე. ვინ დაარწმუნებს მყიდველებს, რომ ჩვენ მოწამლულები არა ვართ?" ფრანგული გაზეთი „მონდის" ცნობით, ასე ლაპარაკობენ გლეხები ესპანეთის პროვინცია პალამერისიდან, სადაც ამას წინათ ამერიკული ბომბდამშენის კატასტროფის შედეგად ატომური ბომბები ჩამოცვივდა.

„ჩვენს ცაზე კვლავინდებურად ღმუის ამერიკული ატომური სიკვდილი", — მოთქვამს დასავლეთ ევროპის არა ერთი ქვეყნის გაზეთი. და ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ქვეყნების ცაზე კვლავინდებურად ჩამოკიდებულნი არიან ატომური ბომბებით აღჭურვილი „ბ-52", „ბ-47" და „ბ-58" ბომბდამშენების ესკადრილიები.

„დასავლეთ გერმანიას, რომლის მფრინავებს ნატოში პირველი ადგილი უჭირავთ მიზანში მოხვედრების სიზუსტის თვალსაზრისით, ეკუთვნის აგრეთვე სხვა უფრო არასახარბიელო რეკორდიც — ეს არის კატასტროფების რაოდენობა. უკვე დაიმსხვრა ორმოცდაათზე მეტი „სტარფაიტერი", აქედან 29 მარტო 1965 წელს ჩამოვარდა.

კატასტროფების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. ერთ წელიწადში 29 კატასტროფა საშინლად ბევრია იმ თვითმფრინავებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული არიან ატომური ბომბების მიზნამდე მიტანისათვის", — შეშფოთებული აღნიშნავს გაზეთი „ნუველ ობსერვერი".

„სტარფაიტერი" ამერიკული თვითმფრინავია, რომლითაც შეერთებულმა შტატებმა შეაიარაღეს ახალი „ლიუფტვაფე" — დასავლეთ გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალები. ახლა ბონელი გენერლების განკარგულებაში 700 სტარფაიტერია. ბონის ხელისუფალნი და მათი ოკეანისგაღმელი თანამოაზრენი გულმოდგინედ მალავენ ამ ბომბდამშენთა კატასტროფების მასშტაბებს. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რას უნდა განიცდიდეს ადამიანი, რომელიც ყოველდღე შესცქერის ცაში აჭრილ თვითმფრინავებს ატომური ბომბებით; ამასთან, ხომ არ არსებობს იმის გარანტიაც, რომ კატასტროფა კვლავ არ განმეორდება?!

# ფსიქიკა და ჯანმრთელობა

**ივ. თარხნიშვილი ადამიანის ჯანმრთელობაზე ფსიქიკური პროცესების გავლენის შესახებ**

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ფიზიოლოგიური მეცნიერების აღორძინების საქმეს დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა ქართველმა მეცნიერმა ივანე თარხნიშვილმა.

ივ. თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) დაიბადა 1846 წლის 27 ივნისს. ბავშვობა და ყრმობის წლები მან საქართველოში გაატარა, ერთ ხანს სწავლობდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში. 14 წლისა იყო, როცა პეტერბურგში გაემგზავრა. განზრახული ჰქონდა უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ იმ ხანებისათვის ყმაწვილს არ გააჩნდა საშუალო განათლების ატესტატი, უამისოდ კი უნივერსიტეტში სასწავლებლად შესვლა არ შეიძლებოდა. მას მოუხდა საექსტერნო გამოცდების ჩაბარება აღნიშნული ატესტატის მისაღებად. ამ გამოცდებისათვის მომზადებაში თარხნიშვილს ხელი შეუწყეს პეტერბურგში სასწავლებლად მყოფმა თანამემამულეებმა, განსაკუთრებით ბესარიონ ღოღობერიძემ; პეტერბურგში ჩასული ჭაბუკი იქ მყოფ მოწინავე ქართველ სტუდენტთა წრეში ტრიალებდა; ილია ჭავჭავაძე ამ დროისათვის საქართველოში იყო წამოსული, მაგრამ მისი გავლენა პეტერბურგში სასწავლებლად მყოფ ქართველთა შორის ერთობ დიდი იყო. ასე, რომ მომავალმა მეცნიერმა სიჭაბუკეშივე ილიასი და საერთოდ თერგდალეულთა მძლავრი იდეური ზემოქმედება განიცადა; იმავე ხანებში ივ. თარხნიშვილი ეცნობა ნ. ჩერნიშევსკის ნაშრომებს, რომლებიც წინსვლისა და აღორძინების დიდ სტიმულს აძლევდნენ ახლის ძიებას მეცნიერების ყოველ დარგში.

ივ. თარხნიშვილის ფილოსოფიურ სამეცნიერო ინტერესების გაფართოებასა და გაღრმავებას დიდად შეუწყო ხელი რუსეთის ფიზიოლოგიის მამამ, ივ. სეჩენოვმა. ამავე ხანებში თარხნიშვილი ეცნობა თავისი დროის მსოფლიოს გამოჩენილ ფიზიოლოგებს, რომელთა ლაბორატორიებში მუშაობდა იგი უცხოეთში ყოფნის დროს.

ივ. თარხნიშვილი თავიდანვე ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სომატურ პროცესებზე ფსიქიკის გავლენის საკითხს. ჩვენი მეცნიერი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ადამიანის ფსიქიკური პროცესების მატერიალურ სუბსტრატს შეადგენს თავის ტვინი და მისი ჰემისფეროები; იგი სთვლიდა, რომ ფსიქიკა, თავის მხრივ, დიდ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე.

ივ. თარხნიშვილი წერდა: „თანამედროვე ფსიქო-ფიზიოლოგია... ყოველ ფსიქიკურ აგზნებას უყურებს, როგორც ძალას, რომელიც აღმოცენდება ტვინის ჰემისფეროების ქერქოვანი ნივთიერების ფიზიკო-ქიმიურ პროცესების რეალურ ნიადაგზე; იგი შეისწავლის ფსიქიკური მოვლენების აღმოცენების კანონზომიერებას, მათზე ამა თუ იმ მოვლენების ზეგავლენას, შეისწავლის ფსიქიკური პროცესების უკუქმედებას ორგანიზმის სომატურ ფუნქციებზე. საეჭვო არ არის, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება სწორი შეხედულების გამომუშავება ფსიქიკურ პროცესებსა და ფიზიკურ ცხოვრებას შორის არსებულ დამოკიდებულებაზე“.

თავის ცნობილ ნაშრომში „ფსიქიკური მოვლენები და სომატური პროცესები ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმში“, აგრეთვე სხვა სპეციალურ გამოკვლევებში, ივ. თარხნიშვილი ეხება გულის მუშაობის ნებითი აჩქარების საკითხს; როგორც საერთოდ სჩვეოდა, ამ საკითხის დაყენებისას, იგი, პირველ ყოვლისა, ჩერდება მის ისტორიაზე და იძლევა იმის შეჯამებას, რაც მის გამოკვლევამდე უკვე იყო მოპოვებული ამ სფეროში სხვა მეცნიერების მიერ. მკვლევარი მიუთითებდა კიუშნერზე, კარპენტერსა და კლოდ ერნარზე, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხსენებული ავტორები ფაქტების მარტოოდენ აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენ. ხოლო საკითხის მეცნიერული შესწავლა, მეცნიერული კვლევისათვის საჭირო მოთხოვნილებების დაცვით, პირველად ივ. თარხნიშვილმა დაიწყო; იგი აღნიშნავდა, რომ „თუმცა გულის მუშაობა, უმეტეს შემთხვევებში არ ექვემდებარება ნების ზეგავლენას, მაგრამ მაინც, ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს მრავალრიცხოვანი მაგალითები, რომლებიც ადასტურებენ გულის მუშაობის მჭიდრო კავშირს ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებასთან... სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს გულის მუშაობაზე მისი აჩქარების ანდა შენელების სახით“.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, სახელდობრ, ცხრაასიან წლებში, ივ. თარხნიშვილმა გამოაქვეყნა შრომა „სული და სხეული“, რომელშიც არსებითად თავი მოუყარა ყოველივე იმას, რაც ამ საკითხის შესახებ მას დაწერილი ჰქონდა თავისი ცხოვრების მთელ მანძილზე. არ შევუდგები ნაშრომის მთლიანად განხილვას. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ნაწარმოების მხოლოდ იმ თავზე, რომელიც დასათაურებულია: „ფსიქიკური ზეგავლენის სამკურნალო და დაავადების გამომწვევი ძალა“. ნაშრომის ამ ნაწილში ივ. თარხნიშვილი წერს:

„სულისა და სხეულის მჭიდრო ურთიერთობის განხილვიდან ურყევად გამომდინარეობს, რომ ადამიანის ფსიქიკა უაღრესად ძლიერად უნდა მოქმედებდეს მისი სხეულის სხვადასხვა ორგანოების ფუნქციაზე და გავლენას ახდენდეს იმის მიხედვით რა მიმართულებით მუშაობს იგი ამ უკანასკნელთა ფუნქციის მიმართ — უარყოფითად თუ დადებითად; ადამიანის აწეული, მხიარული გუნებაგანწყობა აძლიერებს ჩვენი სხეულის სხვადასხვა ორგანოების ფუნქციებს; სევდიანი, ნაღვლიანი გუნებაგანწყობა კი ანელებს, აკავებს ორგანიზმის სომატურ ფუნქციებს“.

ივ. თარხნიშვილს მოჰყავს ლიტერატურული მონაცემები და იმ აზრს იზიარებს, რომ ადამიანს შეუძლია ხელი შეუწყოს თავის განკურნებას და ბევრ შემთხვევაში თავისი ნებისყოფის ზეგავლენით შეუძლია სხვადასხვა ავადმყოფური პროცესების თავიდან აცილებაც კი.

ივ. თარხნიშვილი აღნიშნავს: ძალიან საინტერესოა ცხადლივ შთაგონების მასობრივი ზემოქმედების მაგალითები. ექიმი ლიურანი გადმოგვცემს, რომ ერთ ჰოსპიტალში ას ავადმყოფს მისცეს უბრალო შაქარწყალი და შემდეგ ვითომ შეშინებულებმა გამოუცხადეს, რომ მათ, დანიშნული შაქარ-წყლის მაგიერ მისცეს წამალი, რომელიც პირის ღებინებას იწვევს; ასი ავადმყოფიდან ოთხმოცს დაეწყო პირის ღებინება. რამდენად დიდია რაიმე აზრთან ასოცირებული წარმოდგენების ძალა ორგანიზმის სომატურ აქტებზე, სხვათა შორის ჩანს შემდეგი ორი მაგალითიდან: ივ. თარხნიშვილის თქმით, ერთი ექიმი გადმოგვცემს, რომ მის პაციენტს არ შეეძლო ვიოლინოს ხმის გაგონება ისე, რომ გულის რევა არ ეგრძნო, მხოლოდ იმიტომ, რომ გემზე, რომელზედაც ის მგზავრობდა თავის სიჭაბუკეში და სადაც მას ზღვის ავადმყოფობა დაემართა, გამუდმებით უკრავდა ვიოლინოზე ბრმა მუსიკა.

მეორე ექიმი გვიამბობდა მამაკაცზე, რომელმაც ფინჯანით დალია უაღრესად გულისამრევი წამალი, რის შემდეგ მისთვის საკმარისი იყო იმ ფინჯნის დანახვა, საიდანაც მან მიიღო აღნიშნული წამალი, და მას ეწყებოდა გულის რევა და ზოგჯერ ფაღარათიც. ყველა ამ ფაქტს კარგად ხსნის მოძღვრება პირობით რეფლექსებზე. ივ. თარხნიშვილი წერს: „მეტად საინტერესოა ე. წ. სიმპათიკური (ანუ შთაგონების მეშვეობით) მკურნალობის მაგალითები. ბეკონი გადმოგვცემს, რომ მას ბავშვობიდან ერთ თითზე ჰქონდა მეჭეჭი, თექვსმეტი წლიდან კი მეჭეჭებმა სწრაფად იწყეს გამრავლება და ორივე ხელზე ასამდე მიატანეს. გამოყენებული იქნა მკურნალობის სიმპათიკური მეთოდი: თითოეულ მეჭეჭზე წააცხეს ღორის ქონი და მზეს მიუშვირეს. ამასთან, მას შთააგონეს, რომ როდესაც ქონი გადნება, მეჭეჭებიც გაქრებიან. ამ ხერხმა გასჭრა. ექიმ ციუკს მოჰყავს აგრეთვე მეჭეჭების არსებობის შემთხვევები, როდესაც ისინი არავითარ ჩვეულებრივ მკურნალობას არ ექვემდებარებოდნენ. გარდა შთაგონებისა, რის შემდეგაც ისინი ქრებოდნენ. კარპენტერი აგვიწერს მეჭეჭების მოსპობის შემთხვევას იმის შემდეგ, რაც ისინი დაასველეს შეღებილი წყლით. საქმე იმაშია, რომ აქ შთაგონებული იყო რწმენა, რომ ეს უებარი წამალიაო.

ივ. თარხნიშვილი სთვლის სავსებით მართებულად, რომ მდგომარეობის მიხედვით, სულიერი მოვლენების გარკვეულად წარმართვის გზით გულისხმიერ ექიმს შეუძლია ხელი შეუწყოს ავადმყოფის უფრო სწრაფ განკურნებას.

აღნიშნულ ფაქტებზე მითითებით და კიდევ მრავალი მონაცემების საფუძველზე ივანე თარხნიშვილი დაბეჯითებით ლაპარაკობს, რომ შთაგონებას უაღრესად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე როგორც ავადმყოფური მოვლენების აღმოცენების და ავადმყოფური მდგომარეობის გაღრმავების მხრივ, ისე ავადმყოფური მდგომარეობის შემსუბუქების ანდა განკურნებისთვის ხელის შეწყობით.

ექიმები ბევრ საინტერესოს და მათი საექიმო მოღვაწეობისათვის სასარგებლოს იპოვნიან ივ. თარხნიშვილის შრომებში. მისი ძირითადი ფსიქოთერაპევტული შეხედულებები სავსებით შეესაბამებიან თანამედროვე მეცნიერებას.

**პროფ. მიხეილ საკაშვილი**
**მეცნიერების დამს. მოღვაწე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეკვლე

## მოთხრობა

### ლალი მარგაშვილი



„შენი თავი შენთვის ჩამიბარებია, შვილო", მეუბნება დედაჩემი და მე მივდივარ მარტო, არავინ არ მომდევს. უნდა ვნახო, რაც არ მინახავს, გავიზარდო, გამოვიცადო.

მატარებლით ჩავალ ქალაქში, მერე ავტობუსით? არა, გენაცვალე, იქ არ დამხვდება მარშრუტის ავტობუსი; მივალ გეოლოგიურ ბაზაში, ავალაჯებ სატვირთო მანქანაზე, იგრიალებს მანქანა, იგრიალებს და მიმიყვანს ერთი გადაკარგული სოფლის ბოლოში, სადაც საძიებო პარტიაა დაბანაკებული. მაშ გადაკარგულიც აღარ ეთქმის, რაკი იქ გეოლოგები დაბინავებულან. მე კი იქაური სკოლის მასწავლებლად ვარ გამწესებული. ჩვენი სოფლის ბოლოს გეოლოგიური პარტია მუშაობსო და სოფელიც თითქო გაზრდილა, განზე გაუწევია. რატომაც არა — წყალი კარგი ჰქონდათ, ჰაერი, მიწა და ახლა აჰა, მადნეულსაც შეეჭიდნენ. მიდის და მოდის მანქანები. იქიდან კი რაღაა, სულ ცოტა მანძილი დარჩება. ავყვები აღმართ-აღმართ, ავივლი აგვისტოს ყვავილებით განაზებულ გორაკებს, ბალახბულახიან, წვრილი მარწყვით დაწინწკლულ მდელოებს. იქ მთაა, ჩვენებური, ველის მარწყვი არ ეცოდინება, არც დახუნძლული ხეხილი დამიქნევს ტოტს. ვივლი, ვივლი და გამოჩნდება ორსართულიანი ფიცრული სახლები, წყლის გალმა-გამოღმა აყოლებულ-ჩაყოლებული. ნაპირზე თეთრი ქვიტკირის შენობა სკოლა იქნება, ათას სახლში გამოვარჩევ.

— რა მითხარი, შვილო? ახალსოფლისკენო? — მეუბნება ბაზის დარაჯი — ახლახან გავიდა მანქანა და დღეს აღარა მგონია, რომ იქით წავიდეს ვინმე, — მეწყინა. არა ვთქვი რა, მაგრამ სახე, ალბათ, ისე საცოდავი გამიხდა, რომ შეწუხებულმა დარაჯმა მითხრა: დაიცა, გავიგებ რამესო, საითღაც გასწია და სულ მალე კარგი ამბით დაბრუნდა: ორ საათში გადიოდა მწვანე სატვირთო მანქანა, მოშორებით რომ იდგა. შემდეგ დარაჯმა ხის ყუთი შემომთავაზა ჩამოსაჯდომად. მე ვიანგარიშე: ორი საათი აქ, ოთხი საათიც მგზავრობა, მაშ ხუთ საათზე სოფელში ვიქნები. მალე სხვებიც მოვიდნენ. ახლად დაქორწინებული ქალ-ვაჟი შესციცინებდნენ ერთმანეთს, იქვე, ვიღაც გეჯასავით მრგვალი გოგო იდგა და პირდაღებული შესცქეროდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.

ორი კი არა, სამი საათი გავიდა და გამოჩნდა ერთი საპნის კვნიწივით დალეული ბიჭი. ავედით მანქანაზე, შოფერსაც ნაცნობი დაუჯდა გვერდით და დავიძარით.

ქალაქს გავცდით, გზა გავინახევრეთ და გაჩერდა მანქანა. შოფერი მანქანის კიბეზე დადგა და ამოგვძახა — აბა, გადაიხადეთ ფულიო. ტანი ჰქონია ჩვენს შოფერს პატარა, თორემ ჭკუა — საკმარისი. მერე ისა და მისი ნაცნობი იქვე, სასადილოში შევიდნენ. ჩემი თანამგზავრებიც ჩავიდნენ — დასვენება გამოცხადდა. სიძემ დიდ ქვაზე თავისი ქურთუკი გადაფინა და დასვა პატარძალი, მერე პიტნის კანფეტი მიართვა.

მანქანა ისევ დაიძრა და ახლა შევნიშნე, რომ აღარც სიძე-პატარძალი, აღარც ის გეჯა გოგო აქ აღარ იყვნენ. დავრჩი სულ ბიჭებში. ამას რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი, ვიფიქრე.

— მიეცი ხიგნალი, ეჰეი! — დაიძახა ვიღაცამ მოსახვევში და ის იყო კიდეც ორმა სატვირთომ დრუნჩით აკოცა ერთმანეთს. მგზავრები ერთმანეთს მივაწყდ-მოვაწყდით, მე მუხლი გადავიყვლიფე. სიცილით დამთავრდა უვნებელი ავარია. შოფრებმაც გაუცინეს ერთმანეთს. იმისი რა ვიცი და ჩვენი შოფრის სიცილი კი ნაადრევი აღმოჩნდა. მალე გაჩერდა მანქანა და მაგრად მიაჭირა მიწას ბორბლები. შოფერი შეუწვა მანქანას ქვეშ, ბევრი უჩხიკინა, მერე გამოძვრა და ღრეჯით გვითხრა: ამაღამ აქ ვიქნებით, ახლა ცეცხლისა და მწვადების მეტი აღარაფერი გვაკლიაო.

შვიდი ბიჭი მოდის ჩემთან ერთად, ესე იგი შვიდი ყაჩაღი. რას გვანან, ღმერთო! ის ერთი მაინც, შავი თმის ბულული რომ ჩამოსწეწია შუბლზე, სახე დაუხრია, ტუჩები წინ წამოუშვერია და დიდი მწვანე თვალებით რაღაცნაირად იყურება. რა ვქნა? აქეთ კლდეა და იქით ტყე, წინ და უკან უსასრულო გზა, რომელზედაც ხვალამდე არც ერთი მანქანა აღარ გამოივლის, საცაა დაბინდდება.

— შენი თავი შენთვის ჩამიბარებია, შვილო — მესმის დედაჩემის ხმა. „მოთავე" სწორედ ის ეყოლებათ, ტუჩებწაშვერილი ბიჭი, უნდა გავეცნო, დაველაპარაკო. კაცად ჩავაგდებ ამ საციხეს და არ დამიფასებს? არ დამიცავს ამ ავაზაკებისაგან?

— უკაცრავად, თქვენც ახალსოფელში მიემგზავრებოდით? — ვკითხე იმ ბიჭს. „ყაჩაღმა" სახე გახსნა, თითქოს პირველად ახლა დამინახა, დიახო, მითხრა და მხრები აიჩეჩა, რაც ალბათ ნიშნავდა: ამასაც თუ მოგზაურობა დაერქმევაო! მერე დაუმატა: ერიჰაა, სამუშაოზე მაგვიანდება!

ლოყები ამიწითლდა. დახე, თურმე რა სისულელე გავიფიქრე, ამ კაცს თუნდაც ჯოჯოხეთში ჩავყვები და არაფრის შემეშინდება. კაცს თურმე სამუშაოზე აგვიანდება და ეს აღელვებს.

მან ისევ დახარა სახე, წაიშვირა ტუჩები და გზას დააშტერდა. აგერ! — თქვა მერე. შორს, დაბლა გამოჩნდა შავი წერტილი, მტვრის ზოლი კი ჩვენსკენ მოიწევდა.

მოგვიახლოვდა მანქანა, ჩვენ ალტაცებული შევეგებენით. შოფერმა იმდენი პატივი დაგვდო, რომ გაჩერდა, მაგრამ წაყვანაზე კი უარი თქვა — მანქანა აგურითაა გადატვირთულიო. შოფერს ვინ უყურებდა, აცვივდნენ ბიჭები ძარაზე, მეც ხელი მომცა ჩემმა ახალმა მოკეთემ, ავედი და დავეცი აგურზე.

— ვისთან მიდიხართ? — მკითხა მან. მე მოკლედ ვუთხარ, რომ მასწავლებლად ვარ დანიშნული დაწყებით სკოლაში და იქ ვერავის ვიცნობ. მე მეგონა, რომ ღლისით ჩავიდოდი და არას ვინაღვლებდი-მეთქი. ახლა არ ვიცი.

ჩემმა თანამგზავრმა არაფრად ჩაიგდო ჩემი წუხილი და დინჯად თქვა — იმ სკოლის გამგე ჩემი ნათესავია, მე მიგიყვანთო. ასე როგორ შეგაწუხებთ-მეთქი. მას აღარაფერი უთქვამს.

კარგად ჩამოღამებული იყო, სოფელში რომ ავედით. ბნელოდა, საით მივდიოდი, არ მესმოდა, ვბორძიკობდი და ჩემი თანამგზავრი ხელს არ მაშველებდა. მერე გრძელი თეთრი სახლი გამოჩნდა. აქ დამიცადეო, მითხრა და თეთრ სახლში შეირბინა. მარტო დავრჩი ჩაბნელებულ ქვეყანაზე. მერე კარბიდის ნათურა წამოვიდა ჩემსკენ. აჰა, მაშ ჩემი მეგზური გეოლოგი ყოფილა.

— აი ახლა არა გვიშავს, — მომანათა კარბიდის ნათურა მან, შუქმა თვალი მომჭრა.

ვიარეთ ბილიკ-ბილიკ, არც ყვავილებს შემოუცინიათ ჩემთვის და წვრილი მარწყვით დაწინწკლულ მდელოსაც ეძინა.

ძაღლები ყეფით შემოგვეგებნენ.

— ბესოო! — აყვირდა ჩემი მეგზური და ჩაცინებით თქვა, — ჩემი სეხნიაა თქვენი გამგე!

მასპინძელი გამოგვეხმაურა.

— აჰა, ძმაო, მასწავლებელი მოგიყვანე!

— ვინა, ბიჭო — იკითხა ბესომ, სანამ მოგვიახლოვდებოდა.

— ლალე ქოჩორაშვილი — ვუკარნახე მე.

— ლალე? — ჩემს მეგზურს გაუკვირდა ჩემი სახელი. ჰო, ლალე დამარქვა დედაჩემმა. იმედი ჰქონია ლამაზი დავდგებოდი. ჩემი ეზოს დამწვარი ბიჭები ვერც რისამე თქმას გამიბედავდნენ და ვერც უთქმელობას მოითმენდნენ. ჩვენს ორღობეზე ავლა-ჩავლისას დაიმღერებდნენ — ლაალეე, ლაალეე, შენ კი გენაცვაალეე! გაუცრუვდა იმედი დედაჩემს. ჩემს გასაგონად „ლალე" არავის უმღერია და საერთოდ, ისე დავტოვე ჩემი სოფელი, ჩვენს ორღობეში ეს სიმღერა სულაც არ გამიგონია.

მასპინძელმა შეგვიწვია შინ, ჩემმა მეგზურმა



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



# ალექსანდრე ყიფშიძე

### გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო

1906 წელს იმპერატორი ნიკოლოზ II სწერდა კავკასიის მეფისნაცვალს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს:

„მინდა ერთი მაგარი სიტყვა გითხრათ ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკიზე. ჩემგან მიღებული ცნობების მიხედვით, ის ნამდვილი რევოლუციონერია. ჭეშმარიტად ის ღირსია... ტირიფის კარგ ტოტზე. სხვებისათვის ეს ჭკუის სასწავლებელი მაგალითი იქნებოდა“. (რევოლუციის მუზეუმის ფონდი 16692/48, საქმე 7-18 ა.)

ნიკოლოზ მეორე აქ პირდაპირ მიუთითებს თავის ხელქვეითს, რომ სტაროსელსკი სახრჩობელაზე უნდა ეკიდოსო. წერილის ტექსტში თვითონ ავტორს მრავალწერტილი დაუსვამს, მაგრამ ასეც ყველაფერი გასაგებია.

მართლაც, როგორ მოითმენდა თვითმპყრობელი ისეთ გუბერნატორს, რომელიც აშკარად და დაუფარავად ხელს უწყობდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა მასების რევოლუციურ მოძრაობას.

ცარიზმის ლაქიებმა, ცხადია, უყურადღებოდ არ დასტოვეს ხელმწიფის პირდაპირი მითითება, უმალ გაუსწორეს ანგარიში რევოლუციონერ-გუბერნატორს; გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, რომელმაც მხეცურად დაარბია და ააწიოკა მთელი დასავლეთ საქართველო, ასე მოახსენებდა კავკასიის მეფისნაცვალს:

„11 იანვარს ჯარები ჩამოვიყვანე სადგურ ყვირილაზე, მაშინვე გამოვიძახე გუბერნატორი სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე, და დაპატიმრებულნი გამოვგზავნე თბილისში“.

ამასთან, ალიხანოვი ატყობინებდა მეფისნაცვალს, რომ სტაროსელსკი და ყიფშიძე აშკარად ხელს უწყობდნენ რევოლუციის გაღვივებას, სამსახურიდან აძევებდნენ ცარიზმის ერთგულ მოხელეებს, მათივე ბრძანებით პოლიციელებსა და ცხენოსან ჩაფრებს იარაღი ჩამოართვეს და გადასცეს აჯანყებულ გლეხებს. ამასთან, გენერალი იმასაც იტყობინებოდა რომ ხელმწიფის ბრძანების მიხედვით მთელ ქუთაისის გუბერნიაში შემოღებულია საალყო წესები.

ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე, რომელიც მხარში ედგა სტაროსელსკის და აქტიურად იბრძოდა მეფის დამპალი რეჟიმის დასამხობად, გახლდათ ქართველი მწერალი და ისტორიკოსი ალექსანდრე ყიფშიძე, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ცნობილი იყო ალექსანდრე ფრონელის ფსევდონიმით.

სტაროსელსკი თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნეს, რათა პასუხისგებაში მიეცათ, ხოლო ყიფშიძე მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს. პატიმრობიდან თავის დაღწევის შემდეგ ყიფშიძე კვლავ განაგრძობს შრომასა და ბრძოლას თავისი ხალხის საკეთილდღეოდ.

ალექსანდრე ყიფშიძე იმ შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ და რომელთა დროშაზე წარწერილი იყო:

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული.

ალექსანდრე ყიფშიძე დაიბადა 1862 წელს, გორის მაზრის სოფელ სალოლაშენში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1884 წელს, იგი შედის ხარკოვის უნივერსიტეტში და იქ წარჩინებით ამთავრებს ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტს. 1888 წელს სამშობლოში ბრუნდება და იწყებს მუშაობას თბილისის სახაზინო პალატაში, შემდეგ საგუბერნიო სამმართველოში და სხვა იმდროინდელ დაწესებულებებში.

ორი ძმა — გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრები იყვნენ. გრ. ყიფშიძე ოც წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა ილიასთან, „ივერიის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყიფშიძე კი მუდმივი თანამშრომელი იყო „ივერიისა“, სადაც ის ათავსებდა პუბლიცისტურ წერილებსა და ნარკვევებს საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების, ეთნოგრაფიისა და კულტურისა თუ ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. ალ. ყიფშიძემ თავისი ძირითადი შრომები გამოაქვეყნა „ივერიის“ ფურცლებზე და ამ გზით ფართო პოპულარობა მოიპოვა ქართული აზროვნების ისტორიაში.

ალ. ყიფშიძის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი მონოგრაფია „დიდებული მესხეთი“. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს წიგნი ავტორმა დაწერა ილია ჭავჭავაძის თხოვნითა და რჩევა-წინადადებით. მასალის შესასწავლად იგი ადგილზე გაემგზავრა, ხუთიოდე წელიწადი დაჰყო მესხეთში, საფუძვლიანად გაეცნო საქართველოს ამ კუთხის ეკონომიურ, ისტორიულსა და ეთნოგრაფიულ ვითარებას. თავის წიგნში მან დახატა ზუსტი სურათი, თუ რაოდენ დიდ განსაცდელსა და გაჭირვებაში იყო ეს ოდესღაც აყვავებული და ყოველმხრივ შემკული კუთხე ძველი საქართველოსი. „დღეს მესხეთს ველარ იცნობთ, — წერდა ავტორი თავის წიგნში — ის აჩრდილი და ნატამალია წარსულისა, რუსთაველის, ბექასი და აღბუღას სამშობლოსი, ისე დაკნინდა ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველი ერთიანი საქართველოსი“. ავტორი გულისტკივილით განაგრძობს: „ბედმა მესხეთს არგუნა წილად ერთი უდიდებულესთაგანი მსოფლიო პოეტთა შორის, შეუდარებელი და სხივოსანი შოთა რუსთაველი, რომლის წყალობით ქართული პოეზია გაბრწყინდავით ვარსკვლავი“.

ავტორი მოგვითხრობდა, თუ როგორ გააპარტახა მესხეთი ოსმალთა გაუთავებელმა შემოსევებმა საუკუნეების მანძილზე. შემდეგ იგი უბრუნდებოდა აწმყო ვითარებას, როცა თვითმპყრობელური რეჟიმი სულს უხუთავდა ხალხს.

მწერალ-ისტორიკოსმა ბრწყინვალედ შეისწავლა მესხეთის სოფლების ისტორია, ეთნოგრაფია, მატერიალური კულტურა, ყოფა-ცხოვრება, მცხოვრებთა მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობა და მოითხოვა მეტი ყურადღება მიქცეოდა ამ მხარეს, გახსნილიყო სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა. შ.

გარდა „დიდებული მესხეთისა“, ალ. ყიფშიძემ გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომები — „მთიულეთის აჯანყება“, „ამბოხება კახეთისა“, „მთის არწივი შამილი“ და სხვ. ყველა ეს წიგნი დაწერილია შესანიშნავი, ძარღვიანი ქართული ენით, იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ, იმავე დროს, ავტორს ახასიათებს უაღრესი დოკუმენტური სიზუსტე; ის ეყრდნობა უმთავრესად კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტებს, და ამ გზით აღადგენს იმდროინდელი ვითარების ნათელ სურათს.

ალ. ყიფშიძე გარდაიცვალა 1916 წელს, 16 ივნისს. იგი დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ალ. სიგუა

უკან დაიხია და ვერც კი მოვიფიქრე მადლობის თქმა, რომ თავქვე დაეშვა. აივანზე დიასახლისი გამომეგება.

... და მე პირველი კლასის მასწავლებელი გავხდი.

მიყვარს ჩემი პატარა მოწაფეები და იმათაც, მგონი, ჩემზე ლამაზი და ჩემზე ჭკვიანი არავინ ჰგონიათ, როგორც მე ვფიქრობდი ჩემს პირველ მასწავლებელზე. მოდიან ჩემი პატარები ჩემთან ხელთდაბღუჯული ყვავილებით. მერე იმ ყვავილებს ჩაასვენებენ წყლიან ჭიქაში და დამიდგამენ მაგიდაზე.

... გული როგორ გამიძლებდა, რომ პირველ კვირა დღესვე არ ჩავსულიყავ ქვემო სოფელში, ეგებ ჩემი მეგზურიც შემხვედროდა, მადლობას ვეტყოდი.

მოვათვალიერე იქაურობა, და მოვამებული რომ ვბრუნდებოდი, ზეცამ ჩამომიგდო თუ მიწამ ამოხეთქა, ის ბიჭი წინ კი ამეტუზა.

— სად დაიკარგე, გოგო! — ისე მისაყვედურა, თითქოს სულ ერთად ვიყავით და ახლა დავიკარგე — ზევით ვიყავ, გეძებე, ვერსად მოგნახე.

დავიბენი, ვერაფერი ვუთხარი.

— შენ კი ისე მიდიოდი, აქეთ არც კი იყურებოდი, — ისევ მდურვით დაუმატა მან და ფქვილისფერი შენობისაკენ მიმახედა. „ფურნე“ ეწერა კარის თავზე.

• • •

მამაჩემი პურ-მარილის კაცია, მეპურეობით არ დაიწუნებს ბესოს, გადაიკიდებს გატენილ ხურჯინს და ამოვა ჩემთან. ჩვენ გავუშლით სუფრას და აბა, მამაჩემო, რომელი პური გეამება: თეთრი? შავი? თალხი? მამაჩემს თალხი პური უყვარს.

დედაჩემი მჭადის ფქვილის ფაფას გაგვიკეთებდა, ამოგვილებდა თეფშზე, ზედ ქონს დაადებდა, გვაჭმევდა და გაგვრეკავდა სკოლაში. ოთხი-ხუთი საათის შემდეგ დაფეთებული მივცვივდებოდით სახლში და ვეცემოდით პირსავსე ჯამებს.

— დედაკაცო, უმაწვილები ფაფით რომ გამოაძღე, რა ყუათი აქვს? არ იცი, ფაფა კარამდისაო, მჭადი ჭამამდისაო, პური — ცხრამთაგადასვლამდისაო, — ეტყოდა მამაჩემი.

... დედაჩემი ჩუმად იღელვებს, პირს დაიდუმებს, სანამ გაიცნობს ბესოს.

• • •

მე ისევ პირველი კლასის მასწავლებელი ვარ და ბესოს გამომცხვარი პური ახლა უფრო მეტად მომწონს.

გიგლა სამი წლისაა. ახლა ის საფხეკელა დანით ლოდის ძირას მიწასა თხრის და პატარა თითები უსველდება. წვეთი კი წვეთს ემატება და წყლად იქცევა. ბესო პატარა ხის ღარს უკეთებს და ჩვენ გიგლას წყლით ვიკლავთ წყურვილს. ჩვენი გიგლა, ალბათ, გეოლოგი გახდება, საშინლად უყვარს მიწის ჩიჩქნა და საერთოდ ემჩნევა მაძიებელი ბუნება.

— ყველაზე ძალიან რა გიყვარს, გიგლა, — ეკითხება ბესო ბიჭს.

— პული და წკალი — პასუხობს ბიჭი.

# ადამიანის გული

### მოსამართლის უბის წიგნაკიდან

გურამ კახიძის განცხადება მოკლედ იყო შედგენილი: მარიამ კალაშნიკთან იგი დაქორწინდა 1961 წლის თებერვალში, ქალაქ ჩერნიგოვში. საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნის დროს. სავალდებულო სამსახური იმავე წლის სექტემბერში დაამთავრა და წამოვიდა თბილისში, საიდანაც ჯარში გაიწვიეს და სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ. მეუღლე ჩერნიგოვში დარჩა, ოთხი წელია გაწყვეტილი აქვს მასთან კავშირი და ითხოვს განქორწინებას. განცხადებას დართული ჰქონდა ქორწინების მოწმობა და ქვითარი სასამართლო ბაჟის გადახდის შესახებ.

მიზეზი, რამაც ოჯახის დანგრევა გამოიწვია, განცხადებაში არ იყო აღნიშნული.

— ჩემი მეუღლე პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა, — უპასუხა გურამმა მოსამართლეს, — სამ თვეში ბავშვს ელოდა და მშობლებთან დარჩენა არჩია, მეუბნებოდა შენც აქ დარჩიო, მაგრამ სახლისკენ მომიწევდა გული და დავშორდით...

მოსამართლემ ისიც გაარკვია, რომ ქალს ქმართან დაშორების სურვილი არ ჰქონია. გურამის წამოსვლის შემდეგ წერილებიც გამოუგზავნია, უთხოვია მისთვის ენახა ვაჟიშვილი, წაეყვანა ისინი თბილისში. გურამს პასუხის გაცემა არ ჩაუთვლია საჭიროდ და მათი ურთიერთობა ასე დამთავრებულა. მარიამს აღარ შეუხსენებია და გურამსაც თავი არ შეუწუხებია ბავშვისათვის საზრდო მიეწოდებინა, ან მისდამი სხვა მზრუნველობა გამოეჩინა.

ასეთ ამბავს კმაყოფილებით ვერავინ შეხვდება და არც მოსამართლეს ესიამოვნა. უნდოდა საყვედური ეთქვა, მაგრამ დუმილი ამჯობინა. გურამმა ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ მასზე ზეგავლენის მოხდენა არც ისე ადვილი იქნებოდა.

განქორწინების საქმე მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განიხილება და გურამის განცხადება ჩერნიგოვის სასამართლოში უნდა ყოფილიყო გადაგზავნილი. მოსამართლემ ეს არ გააკეთა. კანონი უშვებს ცალკეულ შემთხვევებს საქმის განხილვისას განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; აქაც ასე მოხდა. განცხადების ასლი მარიამს გაეგზავნა, გამოთხოვილი იქნა მისი განმარტება. პასუხმა არ დააყოვნა. მარიამი ითხოვდა ეცნობებინათ სხდომის დღე, თანახმა იყო ჩამოსულიყო თბილისში და დასწრებოდა სასამართლო პროცესს.

სხდომის დაწყების დრო იყო, მსაჯულები მოსულიყვნენ და მოსამართლემ მდივანი გამოიძახა. მდივანთან ერთად კაბინეტში ლამაზი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. წინ სამი-ოთხი წლის ბუთხუზა ბიჭი მოუძღოდა.

— ეს ქალი უკრაინიდან არის ჩამოსული, განქორწინების საქმეზე, — მოახსენა მდივანმა მოსამართლეს. მოსამართლეს მდივნის სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მისთვის ისედაც ცხადი იყო, თუ ვინ იყვნენ ქალი და ბავშვი.

გაცნობა დაუყოვნებლივ მოხდა. ბავშვმა მაგიდაზე ზარს მოჰკრა თვალი, არავისთვის უკითხავს, ისე დაავლო ხელი და გულმოდგინედ დააწყებინა წკრიალი. დედის ცდა — ზარი ხელიდან გამოეგლიჯა, უშედეგო იყო; საქმეს მხოლოდ შოკოლადის კანფეტმა უშველა, რომელიც მოსამართლეს შემთხვევით უჯრაში აღმოაჩნდა. გოგამ, ასე ეძახდნენ ბიჭს, უფროსებს საქმე დააწყებინა, ყველა ცდილობდა მისთვის რაღაც ეკითხა ან ხელი გადაესვა თავზე.

კარი ისევ გაიღო, გურამ კახიძე შემოვიდა, რომელსაც უკან ჭაღარამოსილი ქალი და კაცი მოჰყვნენ. ესენი, მისი დედ-მამა იყვნენ. გურამი არ იყო დარწმუნებული, რომ მარიამი ჩამოვიდოდა. აქ კი ბავშვიც დახვდა. ამას სულ არ ელოდა და დაიბნა, წესიერი სალამის მიცემაც ვერ შესძლო, რაღაც ამოილუღლუღა, კედელთან აიტუზა და იატაკს დააშტერდა. გურამის საქციელმა ღიმილი მოჰგვარა მარიამს. იგი მზად იყო შესახვედრად, თავს თავისუფლად გრძნობდა, ნაბიჯიც გადადგა მისკენ, ხელიც გაუწოდა და რაღაცის თქმაც უნდოდა, მაგრამ...

მოხუცებულების დანახვაზე შოკოლადით პირმოთხუპნულმა ბიჭმა თავი მიანება მსაჯულთან ტიკტიკს, დედისკენ გაქანდა და კალთაზე ჩაებღაუჭა.

გურამის მოხუცი მამა გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ყოველივეს. მისთვის ცხადი გახდა, თუ ვინ იყვნენ ქალი და ბავშვი და წუთში მოხდა ამბავი, — რომელსაც არავინ ელოდა.

— შენია, ბიჭო, ეს ბავშვი?! — შესძახა ბრძანების კილოთი მოხუცმა.

გურამს ენა დაება: საცოდავად მოიბუზა და უფრო მეტად დახარა თავი.

— მაგისია, მაგისი! — მიაგება სიტყვა მოსამართლემ.

გაუგებარი, რაღაც „შენი ჭირიმეს“ მსგავსი აღმოხდა მოხუცს პირიდან, სწრაფად წაიწია, ბავშვი აიტაცა და გულში ჩაიკრა. ბავშვმაც თითქოს იგრძნო, რომ რაღაც ხდებოდა და მანამდე უნახავ ბაბუას ერთბაშად შემოაჭდო კისერზე ხელები. ამ სურათს ვერც ბებიამ გაუძლო, მიიჭრა მეუღლესთან, ჩამოართვა ბავშვი და ახლა მან დაუწყო ალერსი.

მოხუცმა ცხვირსახოცი ამოიღო, შეიწმინდა ცრემლები, გასწორდა წელში და მორიდებით მიმართა რძალს: „მე მაპატიე შვილო, მოხუცს, მე“...

საქმის განხილვა აღარ დასჭირდა სასამართლოს. როდესაც კახიძეებმა კარი გაიხურეს, ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა და კარგა ხანი მისი დარღვევა ვერავინ გაბედა.

მაინც, რა არის ადამიანის გული!

**ვახტანგ ჟვანია**



# ქართული წიგნის ამაგდარი

თავის ავტობიოგრაფიაში გიორგი ლეონიძე წერს:

„მე ძალზე მაშინებდა ლექსების ცალკე წიგნად გამოცემა. ვფიქრობდი, რომ ეს ერთგვარი „აბანოა“ ავტორისათვის. სწორედ ამიტომ დიდხანს წიგნი არ მქონია. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, 30-იან წლებში, ერთმა ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა პოეტმა შალვა დემეტრაძემ, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“ მუშაობდა, შეკრიბა ჩემი დაბეჭდილი ლექსები და წინადადება მომცა ხელი მომეწერა აწყობაზე. აი, ამრიგად, 1936 წელს თბილისში გამოჩნდა ჩემი პირველი ლექსების კრებული“ („საბჭოთა მწერლების ავტობიოგრაფიები“, რუს. ენაზე, ტ. I, გვ. 646, მოსკოვი, 1959 წ.).

მადლიერების გრძნობით აღსავსე ეს სიტყვები მკაფიოდ მეტყველებენ იმ დიდ ზრუნვასა და ამაგზე, რომელსაც შალვა დემეტრაძე თავიდანვე იჩენდა ჩვენი მწერლობისადმი.

შალვა დემეტრაძის ახლო ურთიერთობა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან 1925 წლიდან იწყება. სწორედ ამ წელს ჩამოვიდა იგი ქუთაისიდან თბილისში და ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამავე ხანებში, იგი ჯერ ალმანახ „მოქმედებაში“, ხოლო შემდეგ ჟურნალ „დროშაში“ აქვეყნებს (1927 წ.) თავის პირველ ლექსებს („სიმღერა“, „გაზაფხული“ და სხვ.).

1938 წელს ახალგაზრდა პოეტი გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორმა, ცნობილმა მწერალმა რაჟდენ გვეტაძემ მიიწვია სამუშაოდ. ამ დღიდან ქართული წიგნის ბეჭდვა შ. დემეტრაძის საყვარელ საქმედ იქცა.

სამამულო ომის წლებში შალვა ფრონტზე იყო. ომის შემდეგ იგი კვლავ გამომცემლობას უბრუნდება და ჩვეული ენერგიითა და გატაცებით განაგრძობს საყვარელ საქმეს. მრავალ ქართულ წიგნს ამშვენებს მისი სახელი და გვარი, როგორც შემდგენელისა და რედაქტორისა. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია მან აწ განსვენებულ მწერალთა ნაწარმოებების შედგენისა და დასაბეჭდად მომზადებისათვის.

პაოლო იაშვილის ლექსების პირველი წიგნი მხოლოდ 1955 წელს დაიბეჭდა, ხოლო მისი შემდგენელი შალვა დემეტრაძეა. მანვე შეადგინა და რედაქცია გაუწია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების კრებულს (1965 წ.), შეადგინა ტიციან ტაბიძის სამტომეულის პირველი წიგნი (1966 წ.).

ი. გრიშაშვილმა, შ. დემეტრაძეს, რომელსაც იგი თავის უახლოეს მეგობრად თვლიდა, ლექსების ტომი შემდეგი წარწერით მიუძღვნა: „ქართული წიგნის აღფრთოვანებულ ჭაბუკს, პოეტსა და მეგობარს შ. დემეტრაძეს“. მართლაც, რომ ეს უანგარო და უპრეტენზიო მოღვაწე ქართული წიგნის სიყვარულით ანთებული ჭაბუკია.

რით დაიმსახურა შალვა დემეტრაძემ ჩვენი მოწინავე მწერლების ესოდენ დიდი პატივისცემა და სიყვარული?

ამის პასუხი შეიძლება წაიკითხოთ იმ უამრავ მიძღვნებსა და წერილებში, რომლებსაც ჩვენი საყვარელი შალვა ყოველდღიურად ღებულობს მადლიერი ქართველი მწერლებისაგან, მისი მეგობრებისაგან; უფროსი თაობის მწერალი იქნება ის, თუ სულ ახალგაზრდა, პირველი ლექსის სიყვარულით ანთებული პოეტი, ერთნაირი სიყვარულით იხდის ვალს შ. დემეტრაძის წინაშე, როცა საკუთარ წიგნსა თუ ლექსს უძღვნის და უსახსოვრებს ქართული წიგნის შესანიშნავ ამაგდარს.

ქართული წიგნი ახლა გაცილებით უკეთ და ლამაზად არის გამოცემული, ვიდრე ოდესმე იყო. ამისათვის იღწვის მთელი კოლექტივი ჩვენი სახელოვანი პოლიგრაფისტებისა, მათ შრომას შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. ამ ჩუმ და მოკრძალებულ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის შალვა დემეტრაძე.

**ვლ. ჯიბუტი**

# ჭრელ-ჭრელი ამბები

## „მისამართი არ ვიცით"

ჰარვარდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ თავის ძველ ხელისმომწერს, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ლინდონ ჯონსონს ბარათი გაუგზავნა მის ძველ საცხოვრებელ ადგილას — ტეხასის შტატში. რამდენიმე დღის შემდეგ ბარათი უკან დაბრუნდა წარწერით: „ადრესატი წასულია ქალაქიდან, სად იმყოფება ამჟამად — არ ვიცით".

## უნებური გასეირნება

თურქეთის პოლიცია მთვრალ შოფერს უკანასკნელ ხანებში ფულად ჯარიმას კი არ ახდევინებს, არამედ სპეციალურ მანქანაში ჩასვამენ ხოლმე, 80 კილომეტრის დაშორებით გაიყვანენ და სტოვებენ უდაბურ ადგილას. ასეთმა ხერხმა კარგი შედეგი გამოიღო. როგორც აღნიშნავენ, ბოლო თვეებში თურქეთში მნიშვნელოვნად იკლო სიმთვრალით გამოწვეულმა ავარიებმა.

## ზოგი ჭირიც მარგებელია

პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ სპორტულ შეჯიბრებაზე ერთმა მძლეოსანმა უხერხულად ისროლა ბადრო, რომელიც ჰაერში აიჭრა, ნახევარწრე მოხაზა და მოედნის კუთხეში შეკრებილი მსაჯებისაკენ გაექანა.

გაცხარებული კამათის მიუხედავად, მსაჯებმა მოასწრეს გვერდი აექციათ ბადროსათვის. დააგვიანა მხოლოდ ერთმა მსაჯმა — ფერნანდეს დიაზმა. ბადრო ფერნანდესს ბეჭებში მოხვდა და მიწაზე დაამხო. ენაბლუ ფერნანდეს დიაზი ისე შეაშინა ამ ამბავმა, რომ ენაბლუობისაგან განიკურნა და ნორმალურად დაიწყო ლაპარაკი.

მხსნელად მოვლენილი ბადრო მსაჯმა შინ წაიღო და საპატიო ადგილზე გამოჰკიდა.

## მყინვარის საჩუქარი

მაგადანიდან 125 კილომეტრის დაშორებით — დაბა მოტიკლეიკაში მდებარეობს მუდმივი მყინვარი, საიდანაც ამოჩუხჩუხებს... თბილი წყაროები. მეცნიერებმა ამას წინათ დაამთავრეს ამ წყაროების შემადგენლობის შესწავლა. როგორც გამოირკვა, თბილი წყლის ყოველ ლიტრში ხუთ გრამამდე ძვირფასი მინერალური მარილები შედის.

ამ ადგილზე დაიწყო 400 ადგილიანი ჯანმრთელობის კერის მშენებლობა.

## არამკითხე რობინზონი

ოცდაექვსი წლის ინგლისელმა სტუდენტმა მაიკლ სვიფტმა გადაწყვიტა, რომ ახალი რობინზონ კრუზო გამხდარიყო. იგი წყნარი ოკეანის ერთ-ერთ მივარდნილ კუნძულზე გადასახლდა. ეს კუნძული 800 კილომეტრითაა დაშორებული „ცივილიზაციის უახლოეს კერას". სვიფტის მიერ შერჩეული კუნძული იმდენად პატარა იყო, რომ ათი წუთის განმავლობაში თავისუფლად შეგეძლოთ შემოგევლოთ.

ახლად მოვლენილმა რობინზონმა თან წაიღო ყოველგვარი საჭირო ნივთები. სანთებელასათვის მან ათი წლის სამყოფი ბენზინი მოიმარაგა.

იახტის პატრონმა, რომელმაც სვიფტი კუნძულზე მიიყვანა, მალევე გაამჟღავნა ეს საიდუმლო. ახალი ზელანდიის ხელისუფლებმა, გაიგეს თუ არა „რობინზონის" ადგილსამყოფელი, უკაცურ კუნძულზე მაშინვე თავიანთი წარმომადგენელი გაგზავნეს. საბუთების გასინჯვის დროს გამოირკვა, რომ მაიკლს არ ჰქონდა ახალ ზელანდიაში შესვლის ვიზა. ფათერაკების მაძიებელი სტუდენტი არა მარტო კუნძულიდან, არამედ ახალი ზელანდიის ტერიტორიიდანაც გააძევეს.

## ფუტკრები იკარგებიან

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ლუიზიანის, ტეხასის, ალაბამას და კალიფორნიის შტატების მეფუტკრეებმა თავიანთი ფუტკრების ნახევარზე მეტი დაკარგეს. ფუტკრები მიფრინავენ სკებიდან და აღარ ბრუნდებიან. სად მიდიან, ან რა მოსდით მათ — ჯერჯერობით არავინ იცის. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ რაიონებში ნათესებისა და ხეხილების დამტვერვის 80 პროცენტზე მეტი ფუტკრებზე მოდის. თუ უახლოეს ხანებში აღდგენილი არ იქნება ფუტკრების ძველი რაოდენობა, აღნიშნული შტატების ფერმერებს გარდუვალი დაღუპვა მოელით.

შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს განზრახული აქვს გამოიკვლიოს ფუტკრების საიდუმლო დაკარგვის მიზეზი მანამდე, სანამ ეს ამბავი კატასტროფულ ხასიათს არ მიიღებს.

## მეორე მთვარე

ჩვენი პლანეტა მზის გარშემო ყოველთვის მხოლოდ ერთი თანამგზავრის — მთვარის თანხლებით როდი ტრიალებდა. ოდესღაც მას ორი თანამგზავრი ჰყავდა. ერთი თანამგზავრი ძალიან მიუახლოვდა დედამიწას, ნაწილებად დაიშალა და მისი ნამსხვრევები დღევანდელი არგენტინისა და ჩილის ტერიტორიას მოეფინა. ეს კატასტროფა დაახლოებით 5800 წლის წინათ მოხდა.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრაზილიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სწავლულები, რომლებიც სამი წელი იკვლევდნენ იმ ნახევრადუდაბურ ადგილებს, სადაც მათი ვარაუდით, პატარა მთვარის ნამსხვრევები ჩამოცვივდა. ამ ადგილებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს კრატერების წყება და ერთი და იგივე შემადგენლობის მრავალი მეტეორიტი, ეს კრატერები იმ ყველაზე მსხვილი ნამსხვრევების კვალი უნდა იყოს, რომლებიც მიწაზე დაეცნენ და დედამიწის ქერქი გაახეს. კრატერების ახლოს მეცნიერებმა იპოვეს ხის ნახშირის ნარჩენები, რომლებიც, როგორც ჩანს, იმ ხეების ნაშთებია, რომლებიც გახურებულმა ლოდებმა ჩაწნეხა მიწაში. ამ ნაშთების გამოკვლევამ დაგვანახა, რომ მათი დანახშირება დაახლოებით 6 ათასი წლის წინათ მოხდა.

თავიანთი დასკვნების დასამტკიცებლად მეცნიერები ეყრდნობიან სამხრეთ ამერიკის ინდიელების ძველ ლეგენდებსა და თქმულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ესპანელმა და პორტუგალიელმა დამპყრობლებმა ჩაიწერეს. სწორედ ინდიელთა ფოლკლორი იყო სამხრეთ ამერიკაში მეცნიერული ექსპედიციის გაგზავნის თავდაპირველი მიზეზი.

მეორე მთვარე... მისი დაშლა... ნამსხვრევების მიწაზე დაცემა... და ყოველივე ეს იმ ისტორიულ ეპოქაში, როცა ეგვიპტეში უკვე სავსებით ცივილიზებული სახელმწიფო იყო ჩამოყალიბებული. ყოველივე ეს წმინდა წყლის ფანტაზიას გვაგონებს, მაგრამ ცნობას ხელს აწერენ გამოჩენილი მეცნიერები და იგი მეტად ხერიოზულ მეცნიერულ ჟურნალ „საინსშია" დაბეჭდილი.

## ნისლი და ნეილონი

თურმე ნეილონის თხელ ბადეს შეუძლია შეიწოვოს ნისლი ისე, რომ განსაზღვრულ ფართობზე ყველა საგანი თვალსაჩინოდ გამოჩნდეს. ნიუ-ჯერსის შტატში ცდილობენ ეს აღმოჩენა პრაქტიკულად გამოიყენონ საავტომობილო გზებზე ჩამოწოლილი ნისლის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით აქ იყენებენ ნეილონის აფრით აღჭურვილ ავტომანქანებს, რომლებიც რძისფერ ნისლში მიიკვლევენ გზას. ამ მანქანების უკან ნაკვალევივით რჩება ნისლისაგან გაწმენდილი ჰაერის გამჭვირვალე ზოლი, რომელშიც მოძრაობენ გზად მომავალი ასობით სხვა მანქანები.

საინტერესოა, რომ ამ აღმოჩენისათვის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიაში კი არ მიუკვლევიათ, არამედ ცნობილი გახდა ჩილიელი ინდიელებისაგან; ნახეს თუ არა ნეილონი, ინდიელები უმალ მიხვდნენ, რომ მას სინესტის შეწოვა შეუძლია. მაგრამ მათ ეს აღმოჩენა გზების ნისლისაგან გასაწმენდად არ გამოუყენებიათ, რადგან არც ავტომანქანები ჰყავთ და არც საავტომობილო გზატკეცილები აქვთ. ნეილონის ბადეები მათ წყლის დასაგროვებლად გამოიყენეს, რითაც ნათესებს რწყავდნენ.

## საბედისწერო მსგავსება

ლუდოვიკო XVI ბევრს ზრუნავდა თავისი სახელის უკვდავყოფისათვის. მან დაავალა ზარაფხანის ოსტატებს, რომ ფულზე გამოეხატათ მისი პორტრეტი, რომელიც ორიგინალის ზუსტი ასლი იქნებოდა. ასეთი ზუსტი მსგავსება მართლაც მიღწეულ იქნა, მაგრამ იგი საბედისწერო გამოდგა მეფისათვის.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს დევნილი მეფის ოჯახი მალულად მიიპარებოდა პარიზიდან. სახელმწიფო საზღვართან ლუდოვიკოს რაღაც ეშმაკი შეუჩნდა და თავი გამოყო კარეტის ფანჯრიდან. იგი მყისვე იცნო გზის პირას მდგარი სასტუმროს მფლობელმა. ადრე მას არასოდეს ენახა მეფე, მაგრამ შესანიშნავად ახსოვდა მისი გარეგნობა... სპილენძის ფულებზე გამოხატული პორტრეტის მიხედვით.

გარეკანის პირველ გვერდზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ს. ზაქარიაძე. ფოტო ო. თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-3 9

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VI-66 წ. გამომც. № 85, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 26.000. შეკვ. № 1809, უე 03083

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



— რა ღმერთი გაგიწყრა, კიდევ ონ
კანი დაგრჩა ღია?
— რის ონკანი, ვერა ხედავ წვიმს!

— რა გვეშველება, ზემოთ ჩვენს
მეზობელს თურმე სკლეროზი სჭირს.
— მერე შენ რა გადარდებს?
— ონკანი დარჩება როდისმე ღია.






ნახატები
მურთაზ აბაშიძისა.



— თუ ძმა ხარ, ცოტაც გაუძელი.
სადაცაა გადაიღებს.

— რას შვრები, კაცო... გადადიხარ
ქედან?
— თავზე რომ მაწვიმდა ამდენხანს.
ხლა შენ გამოსცადე რა არის ბოლო
ართული!





— აპატიე, დედიკო... მეტს აღარ
დალევს.
— მომცილდით. მაგას თავისი დი-
რექტორი ხომ არ ვგონივარ, საყვე-
დურს რომ აკმარებს ხოლმე. სასჯე-
ლი ახლა ნახოს!



მხატვარი-მოქანდაკე ნელი ოქროპირიძე



კრიმანჭული.



მანდილი



მწყემსი

იდილია





მხატვარი

ИНДЕКС 76056